

1. რა განსხვავებაა ძველი ბერძენის თუ ძველი რომაელის ინდივიდუალურ თავისუფლებასა და ახალი დროის ევროპელის ინდივიდუალურ თავისუფლებას შორის ბენჯამენ კონსტანის მიხედვით?

ძველი რომაელისა და ძველი ბერძენისთვის თავისუფლება ხორციელდება კოლექტიური უმაღლესი ხელისუფლების სახით, რათა თითოეულ მოქალაქეს უშუალოდ მიეღო მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში, მაგრამ ამ თავისუფლებასთან ერთად ინდივიდი თითქმის მთლიანად საჯარო ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული და ინდივიდუალური დამოუკიდებლობის გამოვლენისათვის საშუალება თითქმის არ ჰქონდა. რაც შეეხება ახალი დროის ევროპელის თავისუფლებას, კონსტანის აზრით, ესაა პირადი დამოკიდებლობა, უშიშროება, სამოქალაქო თავისუფლება, სახელმწიფოს მართვაზე ზეგავლენის მოხდენის უფლება. კონსტანისთვის უპირველესია ადამიანის მატერიალური, დასავლური ავტონომია, მისი საიმედო დაცვა კანონით, განსაკუთრებით კი საკუთრების სამართლებრივი დაცვა.

2. სახელმწიფოს ფორმის საკითხი ბენჯამენ კონსტანის მიხედვით (ხელისუფლების დანაწილება, პარლამენტის სტრუქტურა)

კონსტანის აზრით, თანამედროვე სახელმწიფოს ფორმა უნდა იყოს კონსტიტუციური მონარქია, სადაც კონსტიტუციური მონარქი „ნეიტრალური ხელისუფლებაა“, რომელიც სამი კლასიკური ხელისუფლების - საკანონმდებლოს, აღმასრულებლის, სასამართლოს - გარეთაა და, ამასთან, ზემოთაც, ამიტომ უნარიც შესწევს და ვალდებულია უზრუნველყოს მათი ერთიანობა და ნორმალური საქმიანობა. ხელისუფლების ასეთი დანაწილება კონსტანს ასეთი თავისუფლების გარანტიად მიაჩნდა. მისი აზრით, პარლამენტი ორპალატიანი უნდა იყოს. ზედა პალატას მემკვიდრეობითი პერები უნდა შეადგენდნენ, ხოლო ქვედას კი ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლები.

3. დემოკრატიის განმარტება ალექსის დე ტოკვილის მიხედვით

დემოკრატიას ტოკვილი ეპოქის ყველაზე ღირსშესანიშნავ მოვლენად მიიჩნევს. დემოკრატია მისთვის არის საზოგადოებრივი წყობა, რომელიც ფეოდალიზმის საწინააღმდეგო მოვლენაა და რომელმაც საზოგადოების მაღალ და დაბალ ფენებს შორის საზღვრები არ იცის. ამავე დროს, იგი პოლიტიკური ფორმულაა. დემოკრატიის საფუძველი თანასწორობის პრინციპია, რომელიც თანდათანობით მყარდება.

4. რას ნიშნავს თანასწორობა ალექსის დე ტოკვილის მიხედვით

ტოკვილისთვის თანასწორობა სხვადასხვა ინდივიდთა თანაბარი საზოგადოებრივი მდგომარეობაა, მათი ერთნაირი სასტარტო შესაძლებლობები ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუმცა თანასწორობის რეალური არსებობა ავტომატურად არ უზრუნველყოფს თავისუფლებას, პიროვნების ავტონომიას.

5. რატომ ანიჭებენ უპირატესობას ადამიანები თანასწორობას თავისუფლებასთან შედარებით ალექსის დე ტოკვილის მიხედვით?

ტოკვილის აზრით, ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ თანასწორობას თავისუფლებასთან შედარებით. თანასწორობა მათთვის უფრო ადვილი აღსაქმელია, ხოლო თავისუფლება ადამიანებისგან დამაბულობას მოითხოვს. თავისუფლების პირობებში ადამიანებმა დამოუკიდებლად უნდა განაგონ საკუთარი ბედი, გააკეთონ არჩევანი, პასუხი აგონ თავიანთ

მოქმედებებსა და შედეგებზე. ამიტომ თავისუფლება გარკვეული ტვირთია და მისი უპირატესობა მაშინვე არ ჩანს.

6. რომელი პოლიტიკურ-იურიდიული ინსტიტუტები უწყობენ ხელს ინდივიდის და საზოგადოების თავისუფლებას ალექსის დე ტოკვილის მიხედვით?

პოლიტიკურ-იურიდიული ინსტიტუტები, რომლების ხელს უწყობენ ინდივიდისა და საზოგადოების თავისუფლებას: ხელისუფლების დანაწილება, ადგილობრივი თვითმმართველობა, რასაც ტოკვილი სახალხო სუვერენიტეტის წყაროდ მიიჩნევს, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, რელიგიური თავისუფლება, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და ა.შ.

7. ჰუმბოლდტის ლიბერალური კონცეფციის მიხედვით, რისგან უნდა იკავებდეს თავს სახელმწიფო და რით უნდა შემოიფარგლოს მოქალაქეებთან მიმართებაში?

ჰუმბოლდტის აზრით, სახელმწიფო თავს უნდა იკავებდეს მოქალაქეთა კეთილდღეობაზე ყოველგვარი ზრუნვისგან. ეს ეხება მოქალაქეთა სამეურნეო წარმატებას, პროდუქტებით მომარაგებას, საზოგადოებრივ კარიერას, მათ ზნეობას, ფიზიკურ ჯანმრთელობას, პირად ცხოვრებას. სახელმწიფო უნდა შემოიფარგლოს მოქალაქეთა როგორც შინა, ისე საგარეო უშიშროების დაცვით. სახელმწიფოს საქმიანობის ერთადერთი მიზანი უნდა იყოს სიმშვიდის დაცვა.

8. რატომ თვლის საჭიროდ ჰუმბოლდტი სახელმწიფოს მხრიდან მოქმედებების მკვეთრ შეზღუდვას?

ჰუმბოლდტის მიხედვით, ადამიანთა გაერთიანება ერთ სოციალურ კავშირად, ადამიანთა საქმიანობის მრავალფეროვნებას წარმოშობს, ასეთ ვითარებაში ყალიბდება პიროვნება, რომელსაც პირადი ღირსების გრძნობა და თავისუფლება აქვს. ის უნიკალური სხვებისგან განსხვავებული ინდივიდია, რომელსაც ბევრის მიღწევა შეუძლია. უმაღლეს ხელისუფლებას კი სახელმწიფოს მეშვეობით სურს ყველას ერთ თარგზე მორგება, ადამიანთა უნიფიცირება. სწორედ ამიტომ მიიჩნევს იგი საჭიროდ სახელმწიფოს მხრიდან მოქმედებების მკვეთრ შეზღუდვას.

9. რატომ არის საშიში ჰუმბოლდტის მიხედვით სახელმწიფოს მხრიდან ადამიანებზე მამობრივი მისიის თავის თავზე აღება?

ჰუმბოლდტის აზრით, განსაკუთრებით საშიშია პიროვნებისა და ერისათვის, როდესაც სახელმწიფო ადამიანთა მამობრივი ზრუნვის მისიას თავის თავზე იღებს. ჰუმბოლდტი თვლის, რომ ასეთ პირობებში აღზრდილი მოქალაქე მუდმივად ელოდება დახმარებას სახელმწიფოს მხრიდან. საბოლოო ჯამში, ეს მოვლენა პიროვნების, მოქალაქის უმოქმედობას იწვევს, ამასთან, ასუსტებს ინდივიდის ენერგიას და ნებას, გადააჩვევს პრობლემათა დამოუკიდებელ გადაწყვეტას. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს ინდივიდის ზნეობაზე და, რაც მთავარია, ამცირებს ერის ძალას.

10. როგორ მოვლენებად განიხილავს მარქსიზმი სახელმწიფოსა და სამართალს ეკონომიკურ ბაზისთან მიმართებაში?

სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მარქსისა და ენგელსის მოძღვრების ჩამოყალიბებაზე გავლენა მოახდინეს ეკონომიკურმა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოვლენებმა. „რეალური ბაზისი“, საწარმოო ურთიერთობანი არა მხოლოდ საფუძვლად უდევს პოლიტიკურ და იურიდიულ ზედნაშენს, არამედ განსაზღვრავს კიდევ მას. ზედნაშენური დაწესებულებების

ეკონომიკური ბაზისით დეტერმინაციის იდეა, მარქსიზმის მიხედვით უშუალოდ დაკავშირებულია ზედნაშენის- სახელმწიფოს, განსაკუთრებით კი, სამართლის- შეფარდებითი დამოუკიდებლობისა და მუდმივი აქტივობის იდეასთან. ორივე ეს იდეა ბუნებრივად ავსებს ერთმანეთს: მათი ერთიანობა ქმნის კლასობრივი საზოგადოების პოლიტიკურ-იურიდიული სისტემებისა და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების დანაფარდობის იურიდიულ მოდელებს.

11. სახელმწიფოს წარმოშობა მარქსიზმის მიხედვით.

მარქსიზმის მიხედვით სახელმწიფო ჩნდება კლასების გაჩენის შედეგად. პირველყოფილ საზოგადოებაში, მარქსიზმის შესაბამისად, არ არის ჯერ კლასებად დაყოფა, რადგანაც არ არსებობს სათანადო ეკონომიკური საფუძვლები, ამიტომ არც სახელმწიფო არსებობს, ე.ი. არსებობდნენ ისეთი საზოგადოებები, რომელთაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრიობაზე. პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკური განვითარების გარკვეულ ეტაპზე ხდება საზოგადოების გათიშვა კლასებად, რის შემდეგაც სახელმწიფო უკვე აუცილებლობას წარმოადგენს, რადგანაც ამ კლასებს შორის არსებობს ანტაგონისტური წინააღმდეგობა და სახელმწიფო საჭირო ხდება, ამასთან, იგი იქმნება, როგორც გაბატონებული კლასის იარაღი სხვა კლასების დასათრგუნად.

12. რას გულისხმობს „ცნებათა იურისპუდენცია“, რომელსაც ემხრობოდა რ. იერინგი XIX საუკუნის 50-იან წლებამდე?

იერინგი მოცემულ პერიოდში ემხრობოდა „ცნებათა იურისპუდენციის“ დებულებებს. ეს მიმდინარეობა თავის ძირითად საქმედ მიიჩნევდა ზოგადი ცნებებიდან კონკრეტული სამართლებრივი დებულებების გამოყვანას და სწორედ ცნებებში ხედავდა ცოდნის ძირითად წყაროს. იერინგის სიტყვებით რომ ვთქვათ ამ მიმდინარეობის მომხრეები სამართლის მეცნიერებაში თვლიდნენ, რომ ცნებები პროდუქტიულნი არიან, ისინი კომბინირებენ ამის შედეგად ქმნიან ახალ ცნებებს.

13. რა კონცეფციის შემუშავება დაიწყო რ. იერინგმა XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან და რა უნდა იყოს სამართალმცოდნეობის ობიექტი მისი აზრით?

იერინგმა უარყო „ცნებათა იურისპუდენციის“ მიმდინარეობა და XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო შემუშავება „ინერესთა იურისპუდენციისა“. იგი ატარებდა აზრს, რომ ლოგიკურის კულტი თეორიტიკოსი იურისტისათვის სრულიად უადგილოა, რადგანაც სამართალმცოდნეობა მათემატიკა არ არის და სწორედ ამიტომ მასში პრიორიტეტი ლოგიკას არ უნდა ჰქონდეს. ლოგიკა კი არ უნდა იყოს სამართალმცოდნეობის ობიექტი, არამედ ცხოვრებისეული ღირებულებანი, ადამიანთა რეალური ინტერესები. უნდა აღვნიშნოთ, რომ იერინგი დიდ ყურადღებას აქცევდა სამართლის არამხოლოდ ლოგიკურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს, არამედ მის სოციოლოგიურ-პრაგმატულ მომენტებსაც.

14. რა სახის გამოკვლევებს ექვემდებარება სამართალი, როგორც ორგანიზმი და რა არის ამ გამოკვლევათა საგანი რ. იერინგის მიხედვით?

სამართლისა და სახელმწიფოს შესწავლისას იერინგი უპირველეს ყოვლისა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფაქტების აღწერას, კლასიფიკაციასა და ანალიზს. იერინგი სამართალს ორგანიზმს ადარებს და მას ბუნების პროდუქტის ყველა თვისებას ანიჭებს: ინდივიდუალობის, საკუთარი

თავიდან ზრდის და ა.შ. სამართლის ზრდა ანუ განვითარება საკუთარი თავიდან მისდამი ისტორიულ მიდგომას მოითხოვს. სწორედ ამ მიდგომას წარმოაჩენს ის „რომის სამართლის სულში“. გარდა ამისა იერიინგი აღნიშნავს, რომ თითოეული ორგანიზმი შეიძლება დაექვემდებაროს ორმაგ გამოკვლევას: ანატომიურსა და ფიზიოლოგიურს. ანატომიურის სანს წარმოადგენს მისი შემადგენელი ელემენტები და მათი ურთიერთობა ერთმანეთთან ანუ სტრუქტურა, ხოლო ფიზიოლოგიურის საგანს წარმოადგენს მისი ფუნქციები. იერიინგის მიზანი სწორედ, რომ ამ გამოკვლევების ჩატარება იყო სამართალთან მიმართებაში. ამ მიზნის რეალიზაციისას ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამართლის ფუნქციის კვლევას, რადგან თვლის, რომ ნებისმიერ ორგანიზმში ფუნქციები მისი მიზნების მატარებელი არიან. მიზნებს ის მიაწერს სამართალშემქმნელი ფაქტორის მნიშვნელობას და სწორედ ამას ეხება მისი ნაშრომი „მიზანი სამართალში“

15. რ. იერიინგის ტელეოლოგიური თეორია (მისი მიმართება სამართალთან, სამართალშემოქმედებასთან და სახელმწიფოსთან; ინტერესი, როგორც ადამიანის მიზანშეწონილი საქმიანობის საფუძველი)

თავის მეორე მნიშვნელოვან ნაშრომში იერიინგი უფრო დაწვრილებით განიხილავს სამართლის ზოგად ცნებას. ამ ნაშრომში მას წამოყენებული აქვს ტელეოლოგიური თეორია, რომლის მიხედვითაც არ არსებობს რაიმე მოქმედება და მას საერთოდ აზრი არა აქვს მიზნის გარეშე. სამართალშემოქმედებაც განსაზღვრული მიზნით ხდება. იერიინგის მიხედვით, სოციალური ცხოვრება მიზანშეწონილობის კანონს ემორჩილება, ხოლო სახელმწიფო და სამართალი სოციალური ცხოვრების შემადგენელი ნაწილებია. ადამიანის მიზანშეწონილი საქმიანობის საფუძველი იერიინგის მიხედვით არის ინტერესი. იგი გამოხატავს ადამიანის სუბიექტურ მისწრაფებას მიაღწიოს ამა თუ იმ მიზანს, მიღოს რაიმე სარგებელი ან სიკეთე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესი არის დამაკავშირებელი რგოლი მიზანსა და მოქმედ სუბიექტს შორის.

16. რა სახის საზოგადოება ქმნის სამართალს, რისი მეშვეობით რ. იერიინგის მიხედვით?

სამართალი იერიინგის მიხედვით საზოგადოების მიერ იქმნება. საზოგადოებას იგი განმარტავს, როგორც ადამიანთა ერთობლივი მოქმედების სფეროს, რომლებიც ერთიანდებიან საერთო მიზნებით. ამ სფეროში თითოეული მოქმედებს სხვებისთვის, აგერეთვე თავისთვის, ხოლო საკუთარი თავისთვის მოქმედებით იგი ამასთან, სხვებისთვისაც მოქმედებს. იერიინგთან სამართლის შემქმნელად გვევლინება არა ყოველგვარი, არამედ მხოლოდ სახელმწიფოებრივად ორგანიზებული საზოგადოება. ასეთ საზოგადოებას სათავეში უდგას სახელმწიფო აპარატი, რომელიც ახორციელებს საჯარო ხელისუფლებას. სწორედ ეს სახელმწიფო აპარატი ქმნის საბოლოო ჯამში სამართალს. ის პირდაპირ მიუთითებს, რომ სახელმწიფო სამართლის ერთადერთი წყაროა. მისი აზრით, სახელმწიფოს მრავალმხრივი მიზნებიდან ერთერთი სწორედ, რომ სამართლის შექმნაა.

17. რა შეადგენს სამართლის შინაარსს რ. იერიინგის მიხედვით?

სამართლის შინაარსს, იერიინგის მიხედვით, შეადგენს სოციალური ურთიერთობების სუბიექტთა ინტერესები, მაგრამ მხოლოდ ისეთები, რომლებიც საერთოა ყველა მისი მონაწილისათვის ანუ საზოგადოების ინტერესები მთლიანობაში. სამართალი არის სახელმწიფოს მიერ დაცული ინტერესი. იერიინგი სამართალს ახასიათებს, როგორც ზოგადსავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობას. იგი აღნიშნავს, რომ გავრცელებული განმარტების მიხედვით, სამართალი არის

სახელმწიფო მოქმედი იძულებითი ნორმების ერთობლიობა. იძულებითობა მისი აზრით არის ძირითადი, გადამწყვეტი ნიშანი იმისა, თუ რა არის არსებითად სამართალი და რა არ მიეკუთვნება მას. ასე რომ, სამართალი მადლიერი უნდა იყოს სახელმწიფოსი არა მარტო წარმოშობის, არსებობის წესის გამოც.

18. როგორ განმარტავს რ. იერინგი სამართალს (იძულების ასპექტი სამართლის განმარტებაში)

იერინგის აზრით, სამართალი არის სახელმწიფოს მიერ დაცული ინტერესი. იერინგი სამართალს ახასიათებს, როგორც ზოგადსავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობას. იგი აღნიშნავს, რომ გავრცელებული განმარტების მიხედვით, სამართალი არის სახელმწიფო მოქმედი იძულებითი ნორმების ერთობლიობა. იძულებითობა მისი აზრით არის ძირითადი, გადამწყვეტი ნიშანი იმისა, თუ რა არის არსებითად სამართალი და რა არ მიეკუთვნება მას. ასე რომ, სამართალი მადლიერი უნდა იყოს სახელმწიფოსი არა მარტო წარმოშობის, არსებობის წესის გამოც. ის არსებითად არ მიჯნავს სამარტალსა და კანონს. საკმაოდ ხშირად იგი ამ მოვლენებს იდენტურად თვლის, მაგრამ სინამდვილეში ისინი ასეთები არ არიან.

19. სახელმწიფოსა და სამართლის თანაფარდობარ. იერინგის მიხედვით.

სახელმწიფო იერინგის მტკიცებით არის სოციალური იძულების ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია არამარტო ქმნის სამართალს და უზრუნველყოფს მის არსებობას, არამედ მართავს კიდევ მას. სამართალზე ზრუნვა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სამართალი არ უპირისპირდება სახელმწიფოს, არამედ არის მასზე მთლიანად დამოკიდებული დანამატი. ამსთან დაკავშირებით იერინგი აღნიშნავს, რომ სამართალი ხელისუფლების გარეშე არარაობაა, მოკლებულია ყოველგვარ რეალობას, რადგანაც მხოლოდ ხელისუფლება, რომელიც ცხოვრებაში ატარებს სამართლის ნორმებს, სამართალს აქცევს იმად, რაც იგი არის. იერინგი მომხრეა საზოგადოებაში მტიცე დისციპლინისა და კანონიერებისა, მკაცრი და სტაბილური წესრიგისა, რადგანაც მიაჩნია, რომ მხოლოდ ამ წინაპირობების არსებობისას არის შესაძლებელი საზოგადოების ცივილიზებული მოწყობა, ნორმალური სამართლებრივი ურთიერთობა, სამართლიანობა.

20. სამართლის ცალმხრივად და ორმხრივად სავალდებულო (იძულებითი) ხასიათი რ. იერინგის მიხედვით. რატომ შეიძინა სამართალმა დროთა განმავლობაში ორმხრივად სავალდებულო ხასიათი?

იერინგის აზრით, თავდაპირველად სამართალს ცალმხრივად იძულებული ხასიათი ჰქონდა. იგი მიმართული იყო ქვეშევრდომებისადმი, რათა აღკვეთილიყო მათი ზღვარგადაცილებული ზრუნვა კერძო ინტერესებისათვის. შემდგომში სამართალმა თანდათანობით შეიძინა ორმხრივ სავალდებულო ძალა - იგი სავალდებულო გახდა თვით სახელმწიფო ხელისუფლებისათვის. ის თვლის, რომ ზრუნვა თვითშენარჩუნებისათვის აიძულებს ხელისუფლებას დაემორჩილოს სამართალს. ხელისუფალნი ბოლოსდაბოლოს რწმუნდებიან, რომ ქვეშევრდომებს მარლთწესრიგის, კანონისადმი მორჩილების გრძნობას მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ სამართლის ნორმების დაცვის მაგალითის მიცემით თუ განუმტკიცებენ. იერინგი არც მოითხოვს სახელმწიფოსგან კანონების პედანტურ დაცვას, რადგან კანონიტი სახელმწიფო თვით ზღუდავს საკუთარი მოქმედებების თავისუფლებას. იქ სადაც გარემოებები აიძულებენ სახელმწიფო ხელისუფლებას გააკეთოს არჩევანი საზოგადოებასა და სამართალს შორის, სახელმწიფო არა მარტო

უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა გასწიროს სამართალი და გადაარჩნოს საზოგადოება. მაგრამ იერიინგი არ ხსნის თუ რა მომენტშია აუცილებელი ასეთი არჩევანის გაკეთება.

21. რა არის სოციალური ცხოვრების ძირითადი ფაქტორი გუმპლოვიჩის მიხედვით, რაში გამოიხატება იგი?

გუმპლოვიჩის მიხედვით, ბრძოლა არსებობისათვის წარმოადგენს სოციალური ცხოვრების ძირითად ფაქტორს, სახელმწიფო მთლიანად მოქცეულია ამ ფაქტორის მოქმედების სფეროში. ეს ბრძოლა კაცობრიობის მუდმივი თანამგზავრია და საზოგადოებრივი განვითარების მთავარი სტიმულატორია. პრაქტიკულად იგი გამოიხატება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის ბრძოლაში. თითოეული ჯგუფი მიისწრაფვის დაიმორჩილოს სხვა ჯგუფი და დაამყაროს მასზე თავისი ბატონობა. ისტორიის უმაღლესი კანონი ასეთია: ძლიერები ამარცხებენ სუსტებს, ძლიერები დაუყოვნებლივ ერთიანდებიან, რომ ერთობლივად დაძლიონ მესამე, ასევე ძლიერი და ა.შ.

22. დაასახელეთ ადამიანთა შორის ბრძოლის ორი მიზეზი გუმპლოვიჩის მიხედვით.

გუმპლოვიჩის შეხედულების მიხედვით ადამიანთა ჯგუფებს შორის მუდმივი უღმობელი ბრძოლის ორი ძირითადი მიზეზი არსებობს, ესენია : ადამიანთა შორის რასობრივი განსხვავება და სოციალური კონფლიქტების მიზეზი, ადამიანთა სწრაფვა თავისი მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლსათვის. ამ ამისწრაფვას იგი თითქმის უნივერსალურ ხასიათს ანიჭებს. იგი აღნიშნავს რომ, ყოველთვის და ყველგან ეკონომიკური მოტივები ყოველგვარი სოციალური მოძრაობის მიზეზს წარმოადგენდნენ. და განაპირობებენ მთელ სახელმწიფოებრივ და სოციალურ განვითარებას.

23. სახელმწიფოს წარმოშობა გუმპლოვიჩის მიხედვით.

გუმპლოვიჩი თვლიდა, რომ ყველაზე შორეულ ეპოქაში კომფლიქტები, ომები გვარებს შორის ქონების დაუფლებისთვის მთავრდებოდა დამარცხებული ჯგუფის განადგურებით. მოგვიანებით ასეთი ჯგუფები მათ ცოცხლად ტოვებდნენ, თუმცა მონებად აქცევდნენ მათ ან ექსპლოატაციას უწევდნენ. გამარჯვებულებს, რომ განემტკიცებინათ თავისი გაბატონებული მდგომარეობა და მორჩილებაში ყოლოდათ დამარცხებულები უნდა გაეტარებინათ გარკვეული ღონისძიებები. სწორედ ამ ღონისძიებების შედეგი იყო სახელმწიფო. სახელმწიფო წარმოიშობა ადამიანთა ერთი ჯგუფის(სუსტები, დამარცხებულები) მეორეს (ძლიერები, გამარჯვებულები) მიერ დამორჩილების შედეგად, როგორც დამორჩილებულებზე ბატონობის შენარჩუნების საშუალება. გომპლოვიჩი წინააღმდეგია, რომ საელმწიფო დახასიათებულ იქნეს როგორც დაშოშმინების ორგანო, იგი იძულების, ძალადობის ორგანოა.

24. გუმპლოვიჩის შეხედულება სამართლის შესახებ.

გუმპლოვიჩის მიერ სამართლის საკითხების ინტერპრეტაცია სახელმწიფოზე მის შეხედულებებს ეფუძნება. გუმპლოვიჩის აზრით, სამართლის შექმნაში გადამწყვეტი როლი სახელმწიფოს ეკუთვნის. სახელმწიფომდელ მდგომარეობაში არ იყო არავითარი სამართალი. მხოლოდ მაშინ, როდესაც ზნეობრიობა კრისტალიზირდება სახელმწიფო კანონებში, იგი იქცევა

სამართლიანად, ეს უკანასკნელი კი თავის დაბადებასაც და შემდგომ არსებობასაც სახელმწიფოს უნდა უმაღლოდეს.

25. სამართლის შტამლერისეული განმარტება.

გერმანული პოლიტიკურ- იურუდიული აზროვნებისთვის დამახასიატებელი იყო ძალისხმევა ფილოსოფიაზე დაყრდნობით ჩამოეყალიბებინათ მეცნიერული ცოდნა სამართლის შესახებ. ამ მხრივ მხრივ აღსანიშნავია რუდოლფ შტამლერის შემოქმედება. მას მიაჩნდა რომ ყოველგვარი პოლიტიკურ-ეკონომიკური გამოკვევის, სოციალური თვალსაზრისით სახალხო მეურნეობის ყოველგვარი შესწავლის საფუძვლად გვევლინება სამართლებრივი რეგულირება. შტამლერი სახელმწიფოს ფუნდამენტად მიიჩნევს არა წარმოებითი ურთიერთობის ერთობლიობას, საზოგადოებრივი ეკონომიკის ბაზისს, არამედ სამართალს. იგი სახელმწიფო საფუძველი და წინაპირობაა. შტამლერის აზრით, შეუძლებელია სახელმწიფო ცნების ფორმულირება სამართლის ცნების წამმდვარების გარეშე. შესაძლებელია სამართლებრივი წყობა განისაზღვროს ისე, რომ მას არავითარი კავშირი არ ჰქონდეს სახელმწიფო ორგანიზაციასთან, მაგრამ შეუძლებელია საუბარი სახელმწიფო ხელისუფლებაზე, თუ ეს წამმდვარებული არ იქნება იურიდიული ნორმებით.

26. რას გულისხმობს სამართლის „ურღვევობა“ შტამლერის მიხედვით?

შტამლერისეული შეხედულებით სამართალი არის „ადამიანთა სოციალური ცხოვრების ურღვევი თვითნებური რეგულირება“. ამ განმარტებით შტამლერი სამართლის უმნიშვნელოვანეს თავისებურებად მიიჩნევს მის „ურღვევობას“, რაშიც იგულისხმება ის, რომ ვინც ვინც ნორმა დაადგინა თვითოვნი უნდა შეიზღუდოს ამ ნორმით. სანამ ასეთი დამოკიდებულება თანაბრად არსებობს დაქვემდებარებულთათვისაც და ნორმის დამდგენისათვისაც, სანამ იგი ერთნაირად სავალდებულოა ორივესათვის, მანამ სამართალი არსებობს.

27. რას გულისხმობს ტერმინი „თვითნებური“ სამართლის შტამლერისეულ განმარტებაში? (ზნეობის ნორმებისა და სამართლის გამიჯვნიდან გამომდინარე)

ტერმინი „თვითნებობა“ გულისხმობს კანონმდებლის ისეთ მოქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლის ზოგად პრინციპებს. იგი გამიჯნულია ზნეობის ნორმებისაგან. ზნეობის ნორმების აღსრულება ადამიანზეა დამოკიდებული, ხოლო სამართლებრივი რეგულირება კი, როგორც სამართლის ტერმინებიდან ჩანს „თვითნებურია“, ანუ შემოქმედებს სამართლისადმი დაქვემდებარებულ ინდივიდებზე იმისდა მიუხედავად, ისინი თანახმანი არიან ამისა თუ არა.

28. saxelmwifosa da samarTlis Tanafardoba Stamleris mixedviT

sainteresoa Stamleris mosazreba saxelmwifosa da samarTlis TanafardobasTan , aq igi uaryofs ieringis mosazrebas , romleic Tvliდა rom samarTali ar arsebobs saxelmwifo izulebis gareSe. Stamleris azriT ki , iurdiuli normebi wamoiSobian, dgindebian da iweyben momedebas saxelmwifoebriვი organizaciisgan damoukideblad.

29. adamianTa gausxvisebeli uflebebis dasabuTeba aSS-is damoukideblobis deklaraciaSi, maTi CamonaTvali , xelisuflebis Secvlisa da gauqmebis uflebis dasabuTeba.

deklaraciis jefersiseonul variantSi saubaria adamianis gausxvisebeli uflebebis dasabuTebaze. aq aRniSnulia , rom adamianebi Tanasworni arian, maT RmerTisgan miniCebuli aqvT gansazRvruli gausxvisebeli uflebebi, romelTa ricxvsac miekuTvneba: sicocxle , Tavisufleba da benierebiken swrafvis ufleba. am uflebaTa uzrunvelsayofad ki xalxi qmnis mTavrobas, romelic Tavis Tavze iRebs samarTliani xelisuflebis ganxorcelebas adamianebis nebis safuZvelze. Tu romelime marTvelobis forma arRvevs am principis maSin xalxs aqvs ufleba Secvalos an gaauqmos igi, da daamyaros axali samTavrobo xelisufleba.

30. xelisuflebaTa “urTierTSekavebisa da Sewonasworebis” sistema aSS-is konstituciiT

konstituciiT gamocxadebul iqna xelisuflebis danawilebis principi – sakanonmdeblo, aRmasrulebel da sasamarTlo xelisuflebad. Tumca am doqtrinam axali saxe miiRo amerikul sinamdvileSi j. adamsis Teoriuli novaciebis safuZvelze. xelisufalTa urTerTdamokidebulobis ideas daemata “urtierTSekavebisa da Sewonasworebis” sistemis idea. romlis Tanaxmadac xelisufalTa Soris wonasworobis misaRwevad saWiroa ara mxolod maTi gancalkeveba, aramed maTi uflebamosilebebis nawilobrivi SeTavsebac. magaliTad Tu aRmasrulebeli xelisufleba mTlianad gantavisufleba sakanonmdeblo funqciebisagan maSin warmoiqmneba winaaRmdegoba da mudmivi qiSpi sakanonmdeblo da aRmasrulebel xelisuflebaTa Soris da sablood erTi Seaviwroebis meores. amitomac saWiro aris xelisufalTa mier erTmaneTis kontroli . xelisuflebis meTaus unda qondes vetos dadebis ufleba sanacvlod kongres unda SeeZlos vetos daZleva, aseve unda ganixilebodes impiCmentis sakiTxi

31. “houmrulis” idea da misi dasabuTeba b. franklinis mixedviT

b. franklini 1766 wlidan aviTarebda houmrulis, e.i. Cridiloamerikuli TviTmarTvelobebisa da politikuri TviTgamorkvevis ideas. franklini amtkicebda , rom ingliselTa emigracia amerikaSi niSnavda maTi mxridan yovelgvარი kavSiris gawyvetas inglisis kanoniebtan da konstituciasTan. amis gamo kolonistebi ukve aRar unda CaTvliiyvnen britaneTis veSevrdomebaD TviT gadasaxlebis faqtis ZaliT da amitom isini ar unda damorcilebuliyvnen britaneTis parlamentis gadawyvetilebebs.

32. monarqiiis kritika tomas peinis mier

peini ganmaTavisuflebel omSi aqtiur monawileobas iRebda, man 1776 wels dawera Tavis yvelaze cnobili nawarmoebi “saRi azri” , romelic inglisis mefis georg mesamis winaaRmdeg iyo mimarTuli . igi aRniSnavda , rom monarqia , romlis drosac taxtze srulad Tavisuflad adis sruliad uniWo, marTvelobisTvis gamousedegari pirovneba , sisxliTa da ferfliT dafara ara mxolod inglisi, aramed mTeli msolfio. Tavisufal xalxs ar unda hyavdes sxva monarqi garda kanonisa.

33. t. jefersonis damokidebuleba monobisadmi

igi monobis winaaRmdeg gamodioda , radgan Tvliida, rom monoba ewinaaRmdegeba adamianis bunebas. man deklaraciaSiic Seitana punqti monaTmflobelobis winaaRmdeg, magram msxvili monaTmflobelebis gavleniT is Semdeg amoRebul iqna. 1784 wels man SesTavaza kongress monobis gauqmeba StatebSi, Tumca monoba mxolod Crdilo-dasavleT nawilSi gauqmda.

34. t. jefersonis mier aSS-is konstituciiis kritika (ra miaCnda konstituciiis naklad?)

igi akritikebda konstituciiis zogierT punqts, kerZod medisonisadmi miweril werilSi igi ambobda , rom konstituciiis naklia, is rom konstituciiT ar aris garantirebuli uflebaTa bili, aseve ar aris garantirebuli sityvis, aRmsareblobis, presis Tavisufleba. am ukanasknelT igi bunebiT kanonebs miakuTvnebda romelT darRveva arcerT marTvles ar unda SeZleboda.

35. ra aris kanoni o. holmzis mixedviT?

holmzis azriT , kanoni mxolod kanonmdeblis azria samarTlis Sesaxeb , es azria ar aris WeSmariti samarTali, esaa mxlod varaudi im sakiTxze , romelzedac sasamarTlom unda miiRos gadawyvetileba. am mosazrebis

mixedviT sasamarTlos faqtiurad samarTalSemoqmedebis funqcia eniWeba, kano ki kargavs uryevi wesis mniSvnelobas.

36. რა არის samarTali o. holmzis mixedviT?

misi azriT, samarTali es aris ara normebi aramed miRebuli gadawyvetilebebi yovel konkretul SemTxvevaSi, e.i. sasamarTlo gadawyvetilebebis mTeli rigi .

37. რა ფაზებისგან (ეპოქებისგან) შედგება განვლილი ისტორიული ციკლი ჯ. ვიკოს მიხედვით?

ჯ. ვიკოს მიხედვით, განვლილი ისტორიული ციკლი შეიცავს 3 ფაზას: მისი საწყისი სტადიაა ღვთაებრივი, ღმერთების ეპოქა. მეორე ფაზაა გმირთა ეპოქა, სადაც სახელმწიფო არსებობს როგორც არისტოკრატის ხელისუფლება. მესამე, საბოლოო ფაზაა ადამიანთა ეპოქა, სადაც ვხვდებით როგორც რესპუბლიკურ-დემოკრატიულ წყობილებებს, ისე წარმომადგენლობით მონარქიებს.

38. დაახასიათეთ ღმერთების ეპოქა ჯ. ვიკოს მიხედვით.

ღმერთების ეპოქა ჯ. ვიკოს მიხედვით, ისტორიული ციკლის პირველი ფაზაა. კანონებად აქ ითვლება მისტერიები და სამისნოთა წინასწარმეტყველებანი, საზოგადოებას მართავენ ქურუმები, ისტორიული ციკლის ეს ფაზა არის სახელმწიფოსა და კანონების წარმოშობის საფუძველი, რადგან ადამიანებს უჩნდებათ მატერიალური მოთხოვნები და ჩნდება ბძოლა საწინააღმდეგო მისწრაფებათა შორის.

39. დაახასიათეთ გმირთა ეპოქა ჯ. ვიკოს მიხედვით.

ჯ. ვიკოს მიხედვით, ისტორიული ციკლის მეორე ფაზაა გმირთა ეპოქა, სადაც სახელმწიფო არსებობს როგორც არისტოკრატის ხელისუფლება, რომელიც ანგარებით გაჯერებულ სამართლებრივ ნორმებს კარნახობს და სასტიკად, დაუნდობლად თრგუნავს პლებებს. სამართალი აქ მმართველთა ინტერესებს მორგებული, უხეში ძალის სამართალია.

40. დაახასიათეთ ადამიანთა ეპოქა ჯ. ვიკოს მიხედვით.

ჯ. ვიკოს მიხედვით, ადამიანთა ეპოქა ისტორიული ციკლის მესამე, საბოლოო ფაზაა. მისთვის დამახასიათებელია რესპუბლიკურ-დემოკრატიული წყობილებები, ანდა წარმომადგენლობითი მონარქიები ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ სახალხო სუვერენიტეტს. კანონები აქ კერძო და საერთო ინტერესებს იცავს, ისინი ადგენენ ადამიანთა შორის იურიდიულ თანასწორობას.

41. დაახსენეთ სამართლის ისტორიული სკოლის წარმომადგენლები.

სამართლის ისტორიული სკოლა გერმანიაში წარმოიშვა მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში. მისი დამფუძნებელია გუსტავ ჰუგო. ასევე, სამართლის ისტორიული სკოლის წარმომადგენლები არიან კარლ სავინი დად გეორგ ფრიდრიხ პუხტა.

42. სამართლის წარმოშობის საკითხი ჰუგოს მიხედვით.

ჰუგოს აზრით, სამართალი ზემოდან რეგულირების გზით არ წარმოიქმნება. ასეთ აზრს ჰუგო „იურიდიულ ცრურწმენად“ თვლის. ჰუგოს მიხედვით, სამართლის წყარო არ არის მხოლოდ კანონი. სამართალი წარმოიშობა არა მხოლოდ კანონმდებლობის შედეგად, არამედ კანონმდებლის საქმიანობის გარეშე. მაგალითად, ასე წარმოიშობა ადათობრივი სამართალი, პრეტორული სამართალი და სხვ. აგრეთვე, ჰუგოს მიხედვით, სამართალი ვითარდება ენასთან ერთად და ენისა და ჩვევების მსგავსად, სამართალი ყალიბდება თავისთავად, ვინმეს ზემოდან ჩაურევლად. სამართლის წარმოქმნას ჰუგო ადარებს თამაშობების წესების წარმოშობას.

43. სავინის შეხედულება სამართალზე.

სავინის აზრით, სამართალს ენისა და ჩვევების მსგავსად, აქვს მოცემული კონკრეტული ხალხისათვის დამახასიათებელი ნიშნები. სავინი სამართალს მიიჩნევს, ერთი მხრივ, ხალხის ცხოვრების ნაწილად და, მეორე მხრივ, როგორც განსაკუთრებულ მეცნიერებას იურისტთა ხელში. სამართალი არ არის კანონმდებლის თვითნებობის შედეგი, იგი „სახალხო სულის“ შემადგენელი პროდუქტი, ხალხის შეგნების საკითხია. სავინის მიხედვით, სამართალი მუდმივად და კანონზომიერად ვითარდება, თუმცა, ამისდა მიუხედავად, სავინი არ უარყოფს იურისტების როლს სამართლის დამუშავების საქმეში. ამის გამო, სავინი სამართალს ორ ნაწილად ყოფს: 1) ბუნებრივი სამართალი, რომელიც დამოუკიდებელია და 2) მეცნიერული სამართალი, რომელიც გამოხატულებას პოულობს იურისტი მეცნიერების შეგნებაში.

44. პუხტას შეხედულება სამართალზე.

პუხტას მიხედვით, სამართალი ხალხის სულის პროდუქტია. სამართლის ნორმა აუცილებელია იმის გამო, რომ იგი საერთო შეგნების გამოხატულებაა. პუხტასთვის მოსაწონია ადათობრივი სამართალი. მისი აზრით, ადათი , რომლითაც ყველა ასრულებს საკუთარ ნებას, არის სამართლის პირველი და ნამდვილი წყარო. პუხტასთვის სამართალსა და სახელმწიფოს ღვთაებრივი წარმოშობა აქვს.

45. სამართლის განმარტება კანტის მიხედვით (ობიექტური და სუბიექტური თვალსაზრისით).

იმანუელ კანტის მიხედვით, სამართალი ობიექტურად წარმოადგენს გარკვეულ პირობათა ერთობლიობას, რომლის მიხედვით ერთი ადამიანის თვითნებობა შეთანხმებული უნდა იყოს მეორე ადამიანის თვითნებობასთან. სუბიექტურად, სამართლის ნორმას საფუძვლად უდევს პრინციპი, რომელიც შემდეგი ფორმულით გამოიხატება: მოიქეცი ან იმოქმედე ისე, რომ შენი თვითნებობის თავისუფალი გამოვლინება შეთანხმებულ იქნეს თითოეულის თავისუფლებასთან.

46. მმართველობის ფორმების კლასიფიკაცია კანტის მიხედვით.

კანტი მმართველობის ფორმების კლასიფიკაციას საფუძვლად უდებს ორ ნიშანს: 1) კანონმდებლობის შემმუშავებელი პირების რაოდენობა და 2) სახელმწიფოში ხელისუფლების

დანაწილების არსებობა თუ არარსებობა. პირველი ნიშნის მიხედვით, კანტი ასახელებს მმართველობის შემდეგ ფორმებს: 1. ავტოკრატია ანუ აბსოლუტური მონარქია, 2. არისტოკრატია, 3. დემოკრატია. ამასთანავე, კანტი მმართველობის ფორმებს ყოფს რესპუბლიკურ და დესპოტურ ფორმებად. რესპუბლიკაში ადგილი აქვს ხელისუფლების დანაწილებას, ხოლო დესპოტიაში - არა. კანტს მმართველობის საუკეთესო ფორმად მიაჩნია ავტოკრატია, ანუ აბსოლუტური მონარქია, რადგანაც იგი შედარებით მარტივია, დემოკრატია კი ცუდია იმიტომ, რომ იგი მმართველობის ცუდი ფორმაა.

47. ლეგალური და მორალური ქცევები კანტის მიხედვით, მათი დაპირისპირება.

კანტი ერთმანეთს უპირისპირებს ლეგალურ და მორალურ ქცევებს. ლეგალურია ისეთი ქცევა, რომელი შეთანხმებულია იურიდიულ ნორმასთან, ხოლო მორალურია ისეთი ქცევა, რომელიც მოითხოვს კანონის შესრულებას შინაგანი მოვალეობის შეგრძნების ძალით, ამიტომ სამართალი კანტის მიხედვით არის ქცევების რეგულატორი, რომლისთვისაც სულ ერთია, ქმედების სუბიექტური მხარე.

48. დანაშაულისა და სასჯელის კანტისეული გაგება.

კანტის მიხედვით, დანაშაული არის სამართლიანობის დარღვევა, ხოლო სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა. კანტის აზრით, თუ დანაშაული დაუსჯელი რჩება, მაშინ დედამიწაზე ადამიანების სიცოცხლე აღარ ღირს. სისხლის სამართლის კანონი არის კანტის კატეგორიული იმპერატივიდა ამ კანონის მოთხოვნა აუცილებელია. კანტს მოჰყავს მაგალითი: თუ რომელიმე ხალხმა, რომელიც კუძულზე ცხოვრობს, გადაწყვიტა მიატოვოს კუნძული და სხვაგან გადავიდეს საცხოვრებლად და თუ ამ კუნძულზე ციხეში მოთავსებულია მკვლელი- იგი სიკვდილით უნდა დაისაჯოს ხალხის წასვლამდე, რათა არავინ გაექცეს სასჯელს. აქედან გამომდინარე, კანტისთვის ყველა დანაშაულებრივ მოქმედებას აუცილებლად უნდა შეეფარდოს სასჯელი. ამასთან, დასჯის პრინციპი უნდა იყოს დანაშაულისა და სასჯელის თანაფარდობა.

49. კანტის მიერ შემუშავებული სახელმწიფოთა (ხალხთა) შორის მშვიდობის უზრუნველყოფის პროექტი.

კანტმა თავის სტატიაში „მუდმივი მშვიდობისაკენ“ წამოაყენა ხალხთა შორის მშვიდობის უზრუნველყოფის პროექტი, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოთა შორის ჯერ უნდა დაიდოს ხელშეკრულება მშვიდობიანი თანაარსებობის ხელისშემშლელი მიზეზების აღსაკვეთად, ხოლო შემდეგ საბოლოო ხელშეკრულება, რომლითაც შეიქმნება სახელმწიფოთა კავშირი და განისაზღვრება ასეთი სახელმწიფოებრივი ფორმა. კანტი აყენებდა წინადადებას, რომ ჩამოეყალიბებინათ სახელმწიფოთა ფედერაცია. და ამ ფედერაციაში შემავალ თითოეულ სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა რესპუბლიკური წყობა.

51. რას ნიშნავს აბსტრაქტული სამართალი ჰეგელის მიხედვით.

ჰეგელის მიხედვით, აბსტრაქტული სამართალი არეგულირებს ადამიანთა ურთიერთობას, ანუ მათ დამოკიდებულებას ნივთებისადმი. აბსტრაქტული სამართლის შესახებ მოძღვრებაში ჰეგელი გადმოგვცემს ბურჟუაზიულ იდეებს. მაგალითად: კერძო საკუთრებას იგი ადამიანისგან მოუწყვეტლად, განუშორებლად აცხადებს. ჰეგელი იცავდა არსებულ უთანასწორობას და

მიუთითებდა, რომ ადამიანები შეიძლება მხოლოდ იურიდიულად იყვნენ თანასწორნი, ადამიანთა ფაქტობრივი უთანასწორობის მიზეზები თვით ადამიანთა შორის განსხვავებაა.

52. მორალისა და ზნეობის გაგება ჰეგელთან.

ჰეგელის აზრით, მორალი და ზნეობა ერთმანეთს არ ემთხვევა. მორალი არის პირის მიერ სიკეთისა და ბოროტების სუბიექტური შეფასება, ხოლო ზნეობა ის წესრიგია, რომელიც მყარდება ადამიანთა სხვადასხვა ურთიერთობის შედეგად, მაგ: ოჯახში, საზოგადოებაში, სახელმწიფოში, სახელმწიფოთა შორის და სხვ.

53. დანაშაულისა და სასჯელის ჰეგელისეული გაგება.

ჰეგელი ეხება სამართალდარღვევების მიზეზებს და მიუთითებს, რომ აქ კერძო ნება ეწინააღმდეგება საერთო ნებას, რითაც ირღვევა სამართალი. დანაშაული ჰეგელს უსამართლობად მიაჩნია. დანაშაული სამართლის უარყოფას წარმოადგენს და ამ უარყოფის აღდგენა ისევ სამართლის უარყოფით შეიძლება, ე.ი. სასჯელით. ჰეგელი სასჯელს აღიქვამს, როგორც თვითმიზანს და უარყოფს შეხედულებას, რომლის მიხედვით, სასჯელი არის დაშინება ან გამოსწორების საშუალება. ამით ჰეგელი უარყოფს ანსელმ ფოიერბახის შეხედულებას სასჯელზე, რომ სასჯელი არის დაშინება.

54. რას ეძღვნება გროციუსის ნაშრომი „თავისუფალი ზღვა“ ?

ჰეგო გროციუსის ნაშრომში „თავისუფალი ზღვა“ ასაბუთებს ჰოლანდიელთა თავისუფლად ნაოცნობის სამართლიანობას. ეს ნაშრომი მიმართული იყო ესპანელების წინააღმდეგ, რომლებიც ასაბუთებდნენ, რომ ესპანეთს ზღვაში განუყოფელი ნაოსნობის უფლება თვით რომის პაპმა მისცა. გროციუსმა გაილაშქრა ინგლისის წინააღმდეგადაც, რომელსაც თავი ასევე ზღვაში განუყოფელი ნაოსნობის უფლების მქონედ მიაჩნდა.

55. რა არის სამართალი (ბუნებითი სამართალი) გროციუსის მიხედვით? (საიდან მომდინარეობს, რა არის მისი წყარო?)

გროციუსის მოსაზრებით, ბუნებითი სამართალი ღმერთისგან კი არ მომდინარეობს, არამედ ადამიანის ბუნებიდან, ადამიანის გონიერი ბუნებიდან. გროციუსის აზრით, სამართლის წყაროა ადამიანის საზოგადოებისაკენ, ადამიანებისაკენ მიდრეკილება. აქედან გამომდინარე, გროციუსი ასკვნის, რომ სამართალი დაფუძნებულია თვით ადამიანის ბუნებაში და არსებობს, მიუხედავად ადამიანთა მიერ დადგენილი კანონებისა.

56. რა მოთხოვნებიდან გამომდინარეობს ადამიანების სწრაფვა საზოგადოებისაკენ, რაც ადამიანის ბუნებაშია ჩადებული, გროციუსის მიხედვით? (მათ გროციუსი სამართლის ნორმებად მიიჩნევს)

გროციუსის მიხედვით, ადამიანის საზოგადოებისაკენ სწრაფვა, რაც მის ბუნებაშია ჩადებული, გამომდინარეობს რიგი მოთხოვნებიდან, ესენია: სხვისი ქონებისგან თავის შეკავება, მიღებული სხვისი ნივთის უკან დაბრუნება, პირობის შესრულება, ზარალის ანაზღაურება, თუ ის ჩვენი ბრალითაა მიყენებული, ასევე ადამიანებისადმი შესაბამისი სასჯელის მიზღვა. ყოველივე ამას გროციუსი ბუნებითი სამართლის მოთხოვნებად მიიჩნევს.

57. რა არის სახელმწიფო გროციუსის მიხედვით და რის საფუძველზე წარმოიშობა იგი?

გროციუსის მიხედვით, სახელმწიფო არის ორგანიზაცია „საერთო სარგებლიანობის“ მოსატანად. იგი არის თავისუფალ ადამიანთა კავშირი საერთო სარგებლობისა და უფლებების დასაცავად. სახელმწიფო ადამიანთა შეგნებული მოღვაწეობის შედეგია, რომელიც შეიქმნა ხელშეკრულების დადებით.

58. გროციუსი კერძო საკუთრების წარმოშობის შესახებ

გროციუსის აზრით, კერძო საკუთრება წარმოიშვა ადამიანთა შეთანხმების შედეგად. ერთი მხრივ, აშკარად შეთანხმებისა და ქონების გაყოფის გზით, ხოლო, მეორე მხრივ, უსიტყვოდ, ე.ი. საკუთარი ნებით ქონებისა თუ მამულების დაუფლების გზით. აქედან გამომდინარე, რადგან საკუთრების უფლება ადამიანის ნებიდან გამომდინარეობს, ადამიანის ნების გარეშე სხვისი საკუთრების დაუფლება არამართლზომიერია. საკუთრების უფლებას გროციუსი განმარტავს, როგორც ნივთის განკარგვის ან გასხვისების შესაძლებლობას.

59. სახელმწიფო ხელისუფლების ფარგლების საკითხი სპინოზას მიხედვით.

სპინოზა სხვამს საკითხს სახელმწიფო ხელისუფლების ფარგლებზე, ე.ი. მას სურს გაარკვიოს, რომელ ბუნებით უფლებებს ვერ შეეხება სახელმწიფო. სპინოზას მიხედვით, სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს და არ უნდა ხელყოს ადამიანის აზრი და რელიგიური თავისუფლება, სხვა ადგილას სპინოზა მოითხოვს, რომ რელიგიურ თავისუფლებას თავისი საზღვრები ჰქონდეს. სპინოზა აკრიტიკებს საეკლესიო კულტის მსახურებს, რომლებიც ახშობენ აზრის თავისუფლებას, ამცირებენ ადამიანის გონებას.

61. ინდეპენდენტთა შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე

ინდეპენდენტების პარტია მე-17 საუკუნის ინგლისში საკმაოდ გავლენიანი იყო. ინდეპენდენტთა მოძღვრება წარმოადგენდა პურიტანიზმის ანუ რელიგიური მოძღვრების ერთ-ერთ მიმდინარეობას, რომელიც მიმართული იყო ფეოდალური ეკლესიის წინააღმდეგ. ინდეპენდენტები მოითხოვდნენ რელიგიურ თავისუფლებას. ისინი რესპუბლიკის მომხრეები არ იყვნენ და მოითხოვდნენ შეზღუდულ კონსტიტუციურ მონარქიას. ინდეპენდენტები უმთავრესად იცავდნენ საშუალო ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ინტერესებს.

62. ლეველერების შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე.

ლეველერების ანუ გამთანასწორებლების პარტია წარმოიშვა ინდეპენდენტთა პარტიის მემარცხენე ფრთიდან. ეს პარტია იცავდა წვრილი ბურჟუაზიისა და გლეხობის ინტერესებს. ლეველერების წარმომადგენელია ჯონ ლილბერნი, რომელიც მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო ხელშეკრულების გზითა წარმოშობილი. იგი, ასევე, მომხრეა საყოველთაო არჩევნების და, მისი აზრით, საარჩევნო უფლების მინიჭებისათვის არ უნდა დაწესებულიყო რაიმე სახის ქონებრივი ცენზი. ლეველერები მოითხოვდნენ თანასწორობას მხოლოდ პოლიტიკური უფლებების და არა საკუთრების მხრივ. ასევე, ისინი მოითხოვდნენ დენოკრატის პრინციპების გატარებას.

64. ჯ. ლოკისეული ხელისუფლების დანაწილების თეორია

ჯონ ლოკის მიხედვით, ხელისუფლების დანაწილებისას უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან საკანონმდებლო. აღმასრულებელი და საკავშირო (ფედერაციული) ხელისუფლება. საკანონმდებლო ხელისუფლება ადგენს კანონებს და მას განაგებს პარლამენტი, აღმასრულებელი

ადგენს მათ - მთავრობა, ხოლო ფედერაციული - განაგებს საგარეო პოლიტიკის საქმეებს - განსაკუთრებული ორგანოები. ჯონ ლოკთან სასამართლო ხელისუფლება შთანთქმულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ.

65. კლიმატისა და ნიადაგის ნაყოფიერების გავლენა კანონმდებლობაზე მონტესკიეს მიხედვით

მონტესკიეს აზრით, კანონმდებლობაზე მოქმედებს კლიმატისა და ნიადაგის ფაქტორები, ამიტომ კანონმდებელმა ამ ფაქტორებს ანგარიში უნდა გაუწიოს. მაგ: სამხრეთში ცხელი კლიმატია, ამიტომ იქ სიზარმაცე სუფევს და კანონები ისე უნდა შეიქმნას, რომ ხალხი დააშინოს და აიძულოს. რომ იმუშავოს. სამხრეთში ხშირად მყარდება მონობა და დესპოტიზმი, იმის გამო, რომ ცხელი კლიმატი ადამიანებს ქანცავს, ძალას უღვეს და განსაკუთრებულ პირობებს ქმნის პოლიტიკური მონობის დასამყარებლად. ნიადაგს რაც შეეხება, მონტესკიეს მიხედვით, ნაყოფიერი ნიადაგი ხელს უწყობს დამორჩილებას, რადგან ის, ვინც მიწათმომოქმედებითაა დაკავებული, მხოლოდ თავისი საქმეებითაა დატვირთული და ვეღარ ინარჩუნებს თავისუფლებას, რადგან მასზე მცხოვრები ადამიანები იძულებულნი არიან თვითონ მოიპოვონ სარჩო. უნაყოფო ნიადაგი კი ადამიანებს აწრთობს, ხდის მამაცს, რათა დაიცვას საკუთარი თავისუფლება.

67. რა შემთხვევებში თვლის შესაძლებლად თომა აკვინელი სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მოწყობას?

თომა აკვინელის მიხედვით, დასაშვებია ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა თუ: 1) ხელისუფლება უკანონოდაა ხელში ჩაგდებული, 2) თუ ხელისუფლება ბოროტად გამოიყენება, 3) თუ ირღვევა ღვთიური კანონები, კერძოდ, საეკლესიო კანონები, ამასთან, თომა აკვინელი მიზანშეწონილად არ თვლის მეფის მოკვლას, რადგან ეს სახელმწიფოსათვის საზიანოა.

68. თომა აკვინელი სახელმწიფოს ფორმების შესახებ. მონარქიის უპირატესობის დასაბუთება.

თომა აკვინელის აზრით, საუკეთესო მმართველობის ფორმაა მონარქია. მონარქიაში მონარქი მარტო მმართველი კი არ არის არამედ, შემოქმედია, რადგან მისი ნებით მოძრაობაში მოდის სახელმწიფო მექანიზმის ყველა ნაწილი. მონარქი იგივეა სახელმწიფოში, რაც ღმერთი - სამყაროში. იქ, სადაც არაა მონარქია და ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს, ყოველთვის ადგილი აქვს ანარქიას. თომა აკვინელი იცნობს სახელმწიფოს სხვა ფორმებსაც, არისტოკრატიას, ოლიგარქიას, დემოკრატიას და სახელმწიფოს შერეულ ფორმას, რომელიც მოიცავს არისტოკრატიასა და დემოკრატიას.

70. მარსილიო პადუელის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე

მარსილიო პადუელის აზრით, სახელმწიფოს დანიშნულებაა, რომ მისი ყველა წევრი ფიზიკურად და სულიერად ბედნიერი იყოს. სახელმწიფოს წარმოშობას წინ უძღვოდა ოჯახი, გვარი, ტომი და ქალაქი. აგრეთვე, პადუელი მიიჩნევს, რომ საკანონმდებლო უფლებამოსილება უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ ხალხს, მმართველობის უკეთესი ფორმა კი მისთვის მონარქიაა. პადუელი ერთმანეთისგან ასხვავებს მემკვიდრეობით და არჩევით მონარქიას. (მათგან არჩევით მონარქიას ამჯობინებს). ასევე, სახელმწიფოში უნდა არსებობდეს შემდეგი წოდებები:

მიწათმოქმედთა, ხელოსანთა, ვაჭართა, სასულიერო, ადმინისტრაციული და სამხედრო. აგრეთვე, პადუელის აზრით სამღვდლოება არ უნდა იძულებდეს ხალხს რელიგიური კანონების შესრულებას, არამედ იგი უნდა მიმართავდეს დარწმუნების მეთოდს, რადგან სახარება კანონი არ არის, იგი მოძღვრება, სწავლებაა, ამიტომ რწმენის ფარგლებში იძულება საჭირო არ არის, რელიგიურ კანონებს ხალხი ნებაყოფლობით უნდა ასრულებდეს.

72. თემების საეკლესიო მმართველობა ჟან კალვინის საეკლესიო რეფორმის შემდეგ

შვეიცარიაში ჟან კალვინმა გაატარა ძირეული საეკლესიო რეფორმა, რაც გამოიხატა იმაში, რომ საეკლესიო თემებს ხელმძღვანელობდნენ უხუცესები (პრესვიტერები), რომლებსაც ირჩევდნენ მდიდარი ერისკაცებისგან და აგრეთვე მქადაგებლები, რომლებსაც არ ჰქონდათ სპეციალური სასულიერო წოდება და რელიგიურ ფუნქციებს ასრულებდნენ, როგორც სამსახურებრივ მოვალეობას. პრესვიტერები მქადაგებლებთან ერთად შეადგენდნენ კონსისტორიას, რომელიც განაგებდა თემის რელიგიურ ცხოვრებას. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თვით ჟან კალვინი ხელმძღვანელობდა ჟენევის კონსისტორიას.

73. კლიმატის გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ჟან ბოდენის მიხედვით.

ბოდენი აღადგენს არისტოტელეს მოძღვრებას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გეოგრაფიული გარემოს აქტიური ზეგავლენის შესახებ, იგი თავის ნაშრომში მიუთითებს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედების გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს კლიმატი. მაგალითად, კლიმატის თავისებურებით უნდა აიხსნას ჩრდილოეთის და სამხრეთის ხალხების ძირითადი თავისებურებანი, რომლებიც პოლიტიკური ცხოვრების სპეციფიკას ქმნიან. მაგ: ჩრდილოეთის მხარის კლიმატი ხელს უწყობს ადამიანში მამაცობის გრძნობის გამომუშავებას და ამით უნდა აიხსნას ისიც, რომ ჩრდილოეთის ხალხები ყალიბდებიან გარკვეულ სამხედრო ორგანიზაციად და მუდამ ომის საფრთხეს ქმნიან. რაც შეეხება სამხრეთის კლიმატს, იგი ხელს უწყობს ადამიანის გონებრივ განვითარებას. ამიტომ, სამხრეთის ქვეყნებში ყვავის მეცნიერება. ზომიერი კლიმატის ქვეყნებში განსაკუთრებით იგრძნობა ადამიანთა დაინტერესება პოლიტიკითა და ორატორული ხელოვნებით.

75. სახელმწიფო ხელისუფლების შემზღვეველი ფაქტორები ჟან ბოდენის მიხედვით.

ჟან ბოდენის აზრით, სახელმწიფო ხელისუფლება შეიძლება შეიზღუდოს. ამ შემზღვეველ ფაქტორებს პირველ რიგში ბოდენი მიაკუთვნებს ბუნებით კანონებს, რომლებიც ბუნების მიერ არის დადგენილი და ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, რომელიც ადგენს კანონებს, უნდა ხელმძღვანელობდეს ბუნებითი კანონებით. აგრეთვე, სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას ზღუდავს კერძო საკუთრების არსებობა საზოგადოებაში. ბოდენი მმიუთითებს, რომ კერძო საკუთრება საზოგადოების საფუძველია, ამიტომაც მონარქი უნდა იცავდეს კერძო საკუთრებასაც. სახელმწიფომ მოსახლეობაზე გადასახადების დაწესებისას უნდა გაითვალისწინოს ცალკეულ მოქალაქეთა ინტერესები.

76. სუვერენული ხელისუფლების განუყოფლობა (მისი მნიშვნელობა) ჟან ბოდენის მიხედვით.

სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სუვერენიტეტი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი თვისებაა, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სუვერენიტეტის ცნებას განსაზღვრავს ის, რომ იგი განუყოფელია მეფესა და ხალხს შორის. ხელისუფლება ყოველთვის ერთ პირს და ერთ

რომელიმე კრებას უნდა ეკუთვნოდეს იგი არ შეიძლება ვინმეს გადაეცეს დროებით ან გარკვეული პირობებით. მას მუდმივი ხასიათი აქვს.

77. ჟან ბოდენი სახელმწიფოს ფორმების შესახებ, მისი დამოკიდებულება ამ ფორმებისადმი

ჟან ბოდენი ყურადღებას უთმობს სახელმწიფოს ფორმების საკითხს. დემოკრატიის შესახებ იგი უარყოფით შეხედულებას გამოთქვამს. მისი აზრით, ხალხს რომ ჩაუვარდეს ხელისუფლება ხელში საზოგადოებაში აუცილებლად ანარქია დამყარდება, რადგან ხალხს არ შეუძლია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხების მიმართ მიიღოს სწორი გადაწყვეტილება, არც არისტოკრატიული ფორმა ბოდენისთვის მოსაწონი, რადგან ამ ფორმას არ შეუძლია იხსნას საზოგადოება რევოლუციისგან. ბოდენი, აგრეთვე, მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს შერეული ფორმა ფიქციურია და იგი საერთოდ არ არსებობს. ბოდენისთვის სახელმწიფოს მისაღები ფორმაა მონარქია.

78. მონარქიის სახეები ჟან ბოდენის მიხედვით

მონარქია ბოდენისთვის ისაღები მმართველობის ფორმაა. მონარქიის სახეები ბოდენის მიხედვით: 1) კანონიერი მონარქია. როდესაც მემკვიდრეობის უფლების საფუძველზე ხელისუფლების სათავეში დგას მეფე; 2) სენიორალური მონარქია, როდესაც ძალადობრივი გზით ხელისუფლება მონარქიას აქვს დაკავებული; 3) ტირანია, რომელიც მონარქიის შერყვნილ ფორმას წარმოადგენს.

80. პტახოტეპის სწავლება

პტახოტეპი იყო ეგვიპტის წარჩინებულთა წრიდან, მას გარკვეული დროის განმავლობაში ვეზირის თანამდებობაც მიუღია. პტახოტეპის აზრით, უთანასწორობა ბუნებრივი და სამართლიანია. პტახოტეპი მდაბიოებს კეთილშობილთა დამორჩილებისაკენ მოუწოდებს. კეთილშობილებსაც ურჩევს, არ გამოიჩინონ სიამაყე და არ დაჩაგრონ მდაბიოები. პტახოტეპის აზრით, დაშინება მხოლოდ მეფესა და ღმერთს შეუძლია, სხვას - არავის. იგი სიმდიდრის მოპოვების გზებზე რჩევებს იძლევა, თუმცა მომხვეჭელობის და სიხარბის მომხრე არაა. მისი აზრით, სიმდიდრე არის მომაკვდინებელი ავადმყოფობა, რომელიც ანგრევს ოჯახს და ანადგურებს ნათესავთა შორის კეთილ დამოკიდებულებას.

81. მეფე ახტოის სწავლება

მეფე ახტოი ეგვიპტეში მეათე დინასტიის წამომადგენელია, თავისი შვილისათვის სწავლებაში, იგი მიუთითებს, რომ აუცილებელია მშრომელთა მკაცრი, მაგრამ ფრთხილი დათრგუნვა. ამბოხებულთა წინააღდეგ დაუნდობლობა აუცილებელია, მონათა აჯანყება ცეცხლითა და მახვილით უნდა იქნეს ჩახშობილი. მეფე ახტოი ასევე, მიუთითებს, რომ ხალხის გამოსვლის თავიდან ასახილებლად საჭიროა გარკვეულ დათმობებზე წასვლა.

82. ძველი ბაბილონის მოძღვრებები სახელმწიფოსა და სამართალზე

ბაბილონი იყო აღმოსავლური ტიპის მონათმფლობელური სახელმწიფო შუამდინარეთში. ბაბილონის პოლიტიკური იდეოლოგია გამსჭვალულია რელიგიური წარმოდგენებით. ჰამურაბის მეფობის დროს ბაბილონმა აყვავებას მიაღწია. ბაბილოელების აზრით, ღმერთები

განაგებენ ადამიანთა ბედს. ადამიანები სწორედ ღმერთების დახმარებით იგერიებენ ან თავს ესხმიან ამა თუ იმ ხალხებს. ჰამურაბის კანონებში კი აღნიშნულია, რომ მეფის ხელისუფლება ღვთიური წამოშობისაა, მეფე, ღმერთის მსგავსი არსებაა, რომელიც იცავს სუსტებს, სამართლიანია ბრძენი და ძლიერი. ჰამურაბი თავის კანონებს მიიჩნევს მონათმფლობელთა ინტერესების გამოხატვისა და მონათმფლობელური სახელმწიფოს განმტკიცების იარაღად. იგი შთამომავლობას მოუწოდებს, რომ არავითარი ცვლილებები არ შეიტანონ მის მიერ შედგენილ კანონთა კრებულში.

83. ბრაჰმანიზმის სამართლებრივი იდეოლოგია

ბრაჰმანიზმი ინდოეთში გაბატონებული რელიგიური მოძღვრება იყო. ბრაჰმანები იყვნენ ქურუმები, დომინირებული ფენა, რომელმაც ჩამოაყალიბა ბრაჰმანიზმის იდეოლოგია. ბრაჰმანიზმის ჩანასახი გვხვდება ძველინდურ წიგნებში- ვედებში. ვედებშია მოცემული საზოგადოების 4 ვარნად დაყოფის შესახებ. ეს 4 ვარნაა: ბრაჰმანები (ქურუმები), ქშატრიები (მეომრები), ვაიშები (მიწათმოქმედები, ხელოსნები, ვაჭრები) , შუდრები (უმდაბლესი ვარნა). ბრაჰმანიზმის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია „დოგმატი სულთა გადასახლების შესახებ“, რომლის მიხედვით, ადამიანის სული გარდაცვალების შემდეგ ისევ დედამიწაზე ბრუნდება, იმის მიხედვით, თუ როგორ ასრულებდა ეს პირი დხარმებს - საკულტო-საზოგადოებრივ- საოჯახო ვალდებულებებს, სული ჩასახლებოდა უფრო მაღალი ან უფრო დაბალი ფენის წარმომადგენლის სხეულში. ასევე არსებობდა „მანუს კანონები“, რომელიც ხსნიდა საზოგადოების ვარნებად დაყოფას ღვთაებრივი მიზეზით.

85. სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი მოძღვრებები „ართხაშასტრას“ მიხედვით

ართხაშასტრა არის ძველი ინდური ტრაქტატი, რომლის ავტორადაც მოიაზრებენ კაუტილიას. ართხაშასტრაში მოცემულია რჩევები მეფისათვის ადმინისტრაციის, სასამართლოს, კანონმდებლობის, მმართველობისა და საშინაო თუ საგარეო ურთიერთობების საკითხებზე. ართხაშასტრაც ემხრობა საზოგადოების კასტებად დაყოფას, მონობის კანონზომიერებას. ამ ტრაქტატში მოცემულია მეფის ხელისუფლების იდეა, რომელიც ყველას შიშს უნდა ჰგვრიდეს. მეფე შემოქმედი უნდა იყოს, თუ მეფე შემოქმედი, მისი მსახურებიც შემოქმედები იქნებიან. მეფემ უნდა დაიცვას და შეასრულოს კანონები, მაგრამ თუ ზოგჯერ კანონები ცდებიან ან ეწინააღმდეგებიან მეფის ხელისუფლებას, მაშინ საკითხი უნდა გადაწყდეს საერთო სარგებლიანობის თვალსაზრისით. ართხაშასტრას ავტორი ქვეყნის შიგნით არეულობას უდიდეს უბედურებად თვლის და მას ადარებს იმ მდგომარეობას, რაც შეიძლება მოჰყვეს ადამიანთან გველის მოახლოებას. ქვეყნის შიგნით გადატრიალების საშიშროება აიძულებს ავტორს, ეძებოს სხვადასხვა გზები და მეთოდები, რითაც განიმტკიცებს საზოგადოებრივ წყობილებას.

88. დაოსიზმის სამართლებრივი იდეოლოგია

დაოსიზმის არის ძველი ჩინეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოძღვრება. მის ფუძემდებლად ითვლება ლაო-ძი, რომლის შეხედულებებიც ჩამოყალიბებულია წიგნში „დაო დე ძინი“ (წიგნი დაოსა და დეს შესახებ). ლაო-ძი დაოს ახასიათებს როგორც ბუნებრივ კანონზომიერებას, ცის მეუფეობისაგან დამოუკიდებელ საგანთა ბუნებრივ მსვლელობას. დაო განსაზღვრავს ცის, ბუნებისა და საზოგადოების კანონებს. იგი განასახიერებს უმაღლეს სათნოებას და ბუნებით

სამართლიანობას, დაოს მიმართ ყველა თანასწორია. დაოსიზმში მნიშვნელოვანია უმოქმედობის პრინციპი, აქტიური მოქმედებისაგან თავის შეკავება. ლაო-ძის მიხედვით ხალხის უმძიმესი მდგომარეობისა და ადამიანთა სოციალური-პოლიტიკური უთანასწორობის მიზეზი ჭეშმარიტი დაოსგან გადახვევაა. ლაო-ძი აკრიტიკებდა და გმობდა ძალადობას და ომებს. იგი მეფეებს მოუწოდებდა თავი შეეკავებინათ სხვა ქვეყნების დაპყრობისგან, რადგან იქ, სადაც ჯარი იყო, მხოლოდ სარეველები იზრდებოდა. დიდი ომების შემდეგ კი შიმშილი იწყებოდა. ასევე, ლაო-ძის აზრით, ხალხის ჩაგვრა არ შეიძლება დიდი ხანი გაგრძელდეს, ისევე, როგორც არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, ძლიერი წვიმა, ქარი.

89. პითაგორას შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე.

პითაგორა არის არისტოკრატიული იდეოლოგიის მიმდევარი ბერძენი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი. მისი მოძღვრება იდეალისტურია. იგი ამტკიცებდა, რომ ყველაფრის არსი მდგომარეობს რიცხვში. პითაგორა ყველაფრის საწყისად ღებულობდა მატერიის რაოდენობრივ მხარეს, იგი რიცხვს მეტაფიზიკურ არსებად თვლიდა. იგი ასაბუთებდა, რომ ადამიანს ესაჭიროება პატრონი, ამიტომ იგი უნდა ემორჩილებოდეს წესრიგს. ადამიანთა საზოგადოებისთვის ყველაზე დიდი ბოროტებაა უბატონობა, ამიტომ ადამიანთა გარკვეული ჯგუფი უნდა ემორჩილებოდეს მმართველებს, პატივს სცემდეს კანონებს, მშობლებს. მისი აზრით, მმართველები არიან განსაკუთრებული თვისებების მატარებელი, როგორც გონებრივად, ისე ფიზიკურად. პითაგორა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს აღზრდას. მისი პოლიტიკური იდეალია ისეთი სახელმწიფო, სადაც მართავენ ფილოსოფოსები- სულიერად და ინტელექტუალურად მაღალგანვითარებული ადამიანები.

93. გორგიუსისა და ჰიპიუსის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე.

გორგიუსისა და ჰიპიუსი მიუთითებდნენ, რომ კანონი არის სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დადგენილი აქტი. ჰიპიუსი ერთმანეთს უპირისპირებს ბუნებით სამართლიანობასა და კანონით სამართლიანობას. იგი მიუთითებდა, რომ კანონი არის ტირანი ადამიანებისათვის და მისი მოთხოვნა არ შეესაბამება ადამიანის ბუნებას.

94. სოკრატეს დამოკიდებულება არისტოკრატიისა (ვინ უნდა იყოს სახელმწიფოს მმართველი) და ათენის დემოკრატიისადმი.

სოკრატეს იდეალი არისტოკრატიული წყობილებაა, რადგან, მისი აზრით, ეს არის სახელმწიფო, რომელსაც განაგებენ მცირე, მაგრამ მცოდნე და მომზადებული ადამიანები. სოკრატე ცდილობს გაამართლოს უმცირესობის ბატონობა და მიუთითებს, რომ გაბატონება ეს არის „სამეფო ხელოვნება“. სამეფო ხელისუფლებაში ყველა როდი დაიშვება, არამედ მხოლოდ ის, ვინც განათლებულია და ამისათვის გააჩნია სათანადო მონაცემები. მეფეები და გამგებელი ისინი კი არ უნდა იყვნენ, ვინც სვიპტრას ატარებენ, ან შემთხვევით მოხვდნენ სამეფო ტახტზე, არამედ ისინი, ვისაც შეუძლიათ მართონ. ამიტომ სოკრატე აკრიტიკებდა ათენის დემოკრატიაში მიღებულ წესს. რომელიც ეხებოდა სახელმწიფოს თანამდებობებზე კენჭისყრით არჩევას. ასევე, სოკრატე აკრიტიკებდა ათენის დემოკრატიის უმაღლეს ორგანოს - სახალხო კრებას, რომელიც ძირითადად შედგებოდა ხელოსნებისა და ვაჭრებისაგან. სოკრატე მიიჩნევდა, რომ ეს ის ხალხია, რომელსაც არასდროს არ უფიქრია სახელმწიფოს მართვაზე.

98. არისტოტელეს დამოკიდებულება მონობის მიმართ

არისტოტელე ასაბუთებს და ამართლებს მონობას. იგი აკრიტიკებს ზოგიერთ სოფისტს, რომელიც ადამიანთა ბუნებით თანასწორობას ქადაგებდნენ, და მიუთითებს მონობის სამართლიანობაზე. მისი აზრით, ზოგიერთი ადამიანი მოწოდებულია მონა იყოს, ასეთებად არისტოტელე ასახელებდა ბარბაროსებს. მისი აზრით, ბერძნები არასდროს არ უნდა იყვნენ მონები. რადგან ისინი განსხვავებული თვისებებით არიან დაჯილდოებულნი. ასევე, არისტოტელე მონას უწოდებს სულიერ საგანს, მოლაპარაკე იარაღს, რომელთანაც არ შეიძლება მეგობრობა ისევე, როგორც არ შეიძლება მეგობრობა ცხენთან, ხართან, ძროხასთან და ა.შ. არისტოტელე მოუწოდებს მონათმფლობელებს იყვნენ მონათა მიმართ მომთხოვნი, მაგრამ ზომიერნი.

99. არისტოტელეს შეხედულებანი სამართალსა და სამართლიანობაზე.

არისტოტელეს მიხედვით, სამართალი არის პოლიტიკური სამართლიანობა ანუ სახელმწიფოში დამკვიდრებული წესრიგი. სამართალი ემსახურება საერთო სარგებლიანობას. იგი გამოიყენება მხოლოდ თანასწოფელებიან ადამიანებს შორის, უთანასწოროთა შორის სამართლის გამოყენება შეუძლებელია. ამიტომ არ არის სამართალი ბატონსა და მონას, მამასა და შვილს შორის. დაწერილი სამართლის ნაცვლად, არსებობს დაუწერელი სამართალიც. დაწერილი-ადათობრივი. დაუწერელი-ბუნებითი სამართალი. არისტოტელე ერთმანეთთან აახლოებს სამართალსა და სამართლიანობას. სამართლიანია ყველაფერი ის, რაც შეესაბამება კანონებს, ხოლო უსამართლოა ის, რაც არღვევს კანონს. სამართლიანობის 2 სახე არსებობს: 1) გათანაბრებითი, 2) განაწილებითი.

101. ციცერონის შეხედულებანი სახელმწიფოზე

ციცერონი თავის მოძღვრებაში „სახელმწიფოს შესახებ“. ციცერონი სახელმწიფოს განმარტავს როგორც ხალხის საქმეს, მაგრამ ხალხი არ არის ადამიანთა ყოველგვარი გაერთიანება. ციცერონს ხალხი მიაჩნია ადამიანთა ისეთ გაერთიანებად, რომელიც დაფუძნებულია სამართლის ერთობასა და საერთო სარგებლიანობაზე. ციცერონის აზრით, სახელმწიფო დაფუძნებულია სამართლიანობაზე. ციცერონს არ მიაჩნია, რომ სახელმწიფო ძალმომრეობას ემყარება. სახელმწიფო არ არსებობს, თუ ხელისუფლება ემყარება ძალადობასა და თვითნებობას. ციცერონი უარყოფს სახელმწიფოს წარმოშობის ხელშეკრულების თეორიასაც. ამ საკითხში ემხრობა არისტოტელეს, რომელიც მიიჩნევს, რომ სახელმწიფო არის შედეგი იმისა, რომ ადამიანებს ერთად ცხოვრებისა და ურთიერთობის ჩვევა აქვთ. ყველა სახელმწიფოს დანიშნულება მოქალაქეების ქონებრივი ინტერესების დაცვა. სახელმწიფო ხელისუფლების უპირველესი დანიშნულებაა პირადი საკუთრების დაცვა. ციცერონი უპირატესობას ანიჭებს სახელმწიფოს შერეულ ფორმას.

102. ციცერონის შეხედულებანი სამართალზე

სამართლის არსის საკითხში ციცერონი ემხრობა ბერძენ ფილოსოფოსთა, კერძოდ, სტოელების შეხედულებას და ასაბუთებს, რომ პოზიტიური სამართალი ბუნებითი სამართლის შედეგია. ციცერონი სამართლის არსს ჰვრეტდა გონიერებაში. იგი აცხადებდა, რომ თუ სახელმწიფოში მოქმედი კანონები ეწინააღმდეგებიან სამართლიანობას, მაშინ ისინი არ წარმოადგენენ

კანონებს. ციკერონი რომის პოზიტიურ სამართალს ბუნებითი სამართლის ნაწილად თვლის, თუმცა მასში, მისი აზრით, ისეთი კანონებიცაა, რომელიც სამართლიანობას ეწინააღმდეგება. საერთაშორისო სამართლის საკითხების განხილვისას ციკერონი ერთმანეთისგან ასხვავებს სამართლიან და უსამართლო ომებს. უსამართლო ომებია, მისი აზრით, ისეთი ომები, რომლებიც წარმოებს უმიზეზოდ და ომის გამოუცხადებლად. აღსანიშნავია ისიც, რომ ციკერონმა შემოიტანა ისეთი იურიდიული დებულებები, რომლებიც არ ჰქონიათ ბერძენ ფილოსოფოსებს.

104. სამართლის სამ ნაწილად დაყოფა. საჯარო და კერძო სამართალი რომაელი იურისტების მიხედვით.

რომაელმა იურისტებმა მოგვცეს სამართლის დაყოფა 3 ნაწილად : 1) ბუნებითი სამართალი, 2) ხალხთა სამართალი, 3) ცივილური სამართალი. ბუნებითი სამართალი გამომდინარეობს ბუნებიდან და აწესებს არა მარტო ადამიანთა , არამედ ცხოველთა ქცევის წესებსაც. ხალხთა სამართალით რეგულირდებოდა რომის იმპერიაში შემავალი არარომაელი მოსახლეობის სხვადასხვა სახის ურთიერთობები. იგი გამომდინარეობდა ბუნებითი გონიდან და უნივერსალური ხასიათი ჰქონდა, იგი თანასწორად ემსახურებოდა და გამოიყენებოდა სავაჭრო ურთიერთობის ყველა მონაწილის მიერ. ცივილურ სამართალს ისინი უწოდებდნენ იმ პოზიტიურ სამართალს, რომელიც შედგენილი იყო მხოლოდ რომაელი მოქალაქეებისთვის. ცივილური სამართალით რეგულირდებოდა რომის მოქალაქეთა მრავალმხრივი ურთიერთობები. პირველად სამართლის დაყოფა საჯარო და კერძო სამართლად შემოიღო ულპიანემ. (რომაელი იურისტი). საჯარო სამართლად მიიჩნევა იგი ყველაფერს , რაც ეხებოდა სახელმწიფო ინტერესებს, ხოლო კერძო სამართალი იცავდა და არეგულირებდა კერძო პირთა (persona) ურთიერთობებს.

105. საბინუსიანელთა და პროკულუსიანელთა შორის განსხვავება საკუთრების ინსტიტუტთან მიმართებაში

კერძო საკუთრების ინსტიტუტთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებისას რომაელი იურისტებში მოხდა გათიშვა, გამოიტო საბინუსიანელთა და პროკულუსიანელთა სკოლა. საბინუსიანელები პრინციპატის მომხრეები არიან, პროკულუსიანელები-რესპუბლიკის. საბინუსიანელთა აზრით, განმსაზღვრელია საკუთრება და არა შრომა, ხოლო პროკულუსიანელებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შრომას.

საკითხები წყარების მიხედვით:

1)თრაზიმაქეს შეხედულება სამართლიანობაზე (4ქ.)

თრაზიმაქეს აზრით, სამართლიანია ის რაც ხელსაყრელია ყველაზე ძლიერებისთვის. სახელმწიფოში ძალა მის ხელთაა ვინც ხელისუფლების სათავეში დგას და ცდილობს

თავისთვის ხელსაყრელი კანონები გამოსცეს, ქვეშევრდომთათვის კი სამართლიანია ის რაც ხელსაყრელია ხელისუფალთათვის. ყველა სახელმწიფოში სამართლიანობად ერთი და იგივე რამაა მიჩნეული, რაც არსებული ხელისუფლებისთვისაა ხელსაყრელი. მისი აზრით, ჭეშმარიტი ხელისუფალი შეცდომებს არ უშვებს და შეუცდომლად ადგენს რა არის მისთვის ყველაზე უმჯობესი, რადგან არცერთი ოსტატი არ უშვებს შეცდომებს. თუ ის შეცდომებს უშვებს აღარ იწოდება თავისი საქმის ოსტატად, რადგან შეცდომას ცოდნის უკმარისობა ან არასაკმარისი ოსტატობა იწვევს. ამიტომ ხელისუფალნი შეუცდომლად ადგენენ კანონებს, რაც სავალდებულოა მათი ქვეშევრდომებისათვის, სამართლიანობა კი იმის შესრულებაა რაც ხელსაყრელია ყველაზე ძლიერისთვის და რასაც ხელისუფალნი ასეთად თვლიან.

2)სოკრატეს შეხედულებები სამართლიანობასა და კანონებზე (4ქ.)

სოკრატემ არჩია მომკვდარიყო კანონთა ერთგული ვიდრე ეცოცხლა, როგორც მათ დამრღვევს. სოკრაზე მთელი ცხოვრების განმავლობაში საქმით ამჟღავნებდა თავის აზრს სამართლიანობის შესახებ. იგი სამართლიანობის შესახებ მუდმივად ერთსა და იმავეს ამბობდა და უკვირდა თუ ვისთვის უნდა მიემართა ადამიანს თუ სამართლის შესწავლას მოინდომებდა,ფიქრობდა რომ კანონიერი და სამართლიანი ერთი და იგივე იყო,მიიჩნევდა რომ ცხოვრებაში ყველაზე პატივცემული და უზრუნველყოფილი ისაა ვინც კანონებს ემორჩილება, მასეთ ადამიანს ყველა ენდობა,ირჩევენ წინამძღოლად,ყველას სურს მასთან მეგობრობა და არა მტრობა. მისი აზრით საუკეთესონი ის მმართველნი არიან რომლებიც წააქეზებენ ხალხს რომ დაიცვან კანონები რადგან ამით სახელმწიფო უფრო ძლიერი და ბედნიერია, სახელმწიფოს ერთსულოვნებაც ადამიანების მიერ ერთ და იგივე კანონების მორჩილებაში გამოიხატება. დაუწერელ კანონებთან ღმერთების მიერ დადგენილ კანონებად თლიდა, რომლებსაც ყველა ქვეყანაში ერთნაირად აღიარებენ. (მშობლების პატივისცემა) მიუხედავად იმისა, რომ დაუწერელი კანონები ხშირად ირღვევა მათი გადამლახველი ყოველთვის სათანადოდ ისჯება, ადამიანების კანონების დამრღვევი კი ხშირად უსხლტება სასჯელს.

3)სოკრატეს შეხედულებანი მმართველობის ფორმებზე (3ქ.)

მისი აზრით საუკეთესონი ის მმართველნი არიან რომლებიც წააქეზებენ ხალხს რომ დაიცვან კანონები რადგან ამით სახელმწიფო უფრო ძლიერი და ბედნიერია. მეფობასაც და ტირანიასაც სოკრატე შესაძლებელ ხელისუფლებად თვლიდა, ხალხის ნებასა და სახელმწიფოს კანონებზე დამყარებულ ფორმად მეფობა მიაჩნდა,(კანონებზე დამყარებულ ძალაუფლება) ხალხის ნებისა და კანონების გარშე არსებულ განმგებლობას კი ტირანიას უწოდებდა(გამგებლის სურვილებზე დაფუძნებული მმართველობა). კანონის აღმსრულებელთაგან შემდგარ გამგებლობად არისტოკრატია მიაჩნდა. დემოკრატიისას კი ისეთ ყველას შეუძლია გამგებლობის შეცვლა. იმ წყობილებას სადავ მმართველობა ქონებრივ მდგომარეობას ეფუძნება პლუტოკრატიას უწოდებდა.

4)დემოკრატიის დახასიათება პლატონის მიხედვით (4ჟ.)

დემოკრატია მაშინ მყარდება როცა ღარიბები გამარჯვებას აღწევენ და თავიანთი მტრებიდან ზოგს სპობენ, ზოგს აძევებენ დანარჩენებთან ერთად კი თანაბრად ინაწილებენ სამოქალაქო უფლებებსაც და სახელმწიფო თანამდებობებსაც. სულერთია ისინი იარაღის ძალით იმარჯვებენ თუ იმით რომ მისი დაშინებული მოწინააღმდეგე თანდათანობით უკან იხევს. ასეთ მმართველობაში ვისაც რა სურს იმას აკეთებს, ადამიანი თავისუფალია, ყველა ისე წარმართავს ცხოვრებას როგორც მოესურვება. ასეთ სახელმწიფოში ადამიანები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ეს ფორმა ერთი შეხედვით ისევე ლამაზია როგორც ათასფერად მოჩითული ქსოვილი. დემოკრატიულ სახელმწიფოში სულაც არაა აუცილებელი მონაწილეობას იღბდე მმართველობაში, ომობდე ან მშვიდობას იცავდე. ისინი ლმობიერებას იჩენენ სიკვდილმისჯილის მიმართაც კი, ერთხელაც არ ფიქრდებიან საიდან მოსულ კაცს ანდობენ სახელმწიფოს მართვას. სამარისია ბრბოს ელაქუცებოდე და პატივი არ მოგაკლდება. დემოკრატია ერთმანეთს თავისებურად უთანაბრებს ყველას თანასწორთაც და არათანასწორთაც

5)ტირანი და ტირანია პლატონის მიხედვით (4ჟ.)

თავდაპირველად ტირანი ყველას უღიმის, ათას რამეს პირდება, ხოლო როცა მტერთაგან ზოგს დაუზავდება ზოგს კი მოსპობს, მისი პირველი საზრუნავი ხალხის ომში ჩართვა იქნება რათა ისინი გამუდმებით გრძნობნენ ბელადის აუცილებლობას, ხოლო თუ შენიშნავს რომ ვინმე თავისუფლად მოაზროვნე მას არ ემორჩილება ცილს დასწამებს მტერს მიეყიდაო და მოკლავს, მაგრამ ამგვარი ქცევით ის უფრო შეაძულებს თავს მოქალაქეებს, ისინი ვისაც გავლენა აქვს სახელმწიფოში დაძრახავენ არა მხოლოდ ზურგს უკან არამედ პირიდაპირაც მოახსენებენ თავის აზრს. ძალაუფლების შესანარჩუნებლად ტირანი იძულებული იქნება მუსრი გაავლოს ყველას და ბოლოს რიგიანი მტერიც აღარ შერჩება. ტირანი მუდამ ფხიზლად უნდა იყოს და ყველას მახეს უგებდეს, ტირანს უწევს იცხოვროს იმ ადამიანთა გარემოცვაში ვისაც სძულს ან გამოეთხოვოს სიცოცხლეს, რაც უფრო საძულველი ხდება მოქალაქეებისთვის მით უფრო მეტად ჭირდება სხეულის მცველნი რომელნიც მაშინვე გამოჩნდებიან თუ ფულს არ დაიშურებს, ბოლოს ის მოქალაქეებს ჩამოართმევს მონებს, თავისუფლებას მიანიჭებს და მცველებად დანიშნავს. მას თაყვანისმცემლად თანამზრახველნი ეყოლება, მეგობრებად კი ახალი მოქალაქენი.

6)სახელმწიფოს წარმოშობა არისტოტელეს პოლიტიკის მიხედვით (4ჟ.)

არისტოტელეს აზრით, სახელმწიფო წარმოადგენს ერთგვარ კავშირს, რომლის მიზანიც სიკეთეა. ყველაზე უკეთესი კავშირი, რომელიც რაიმე მიზანს ისახავს არის სახელმწიფო. ის ფიქრობს, რომ სახელმწიფოს ჩამოყალიბება განაპირობა ადამიანთა თანაცხოვრებისკენ მიდრეკილებამ. თავდაპირველად წარმოიშვა ქალი, ხარი, სახლი და მიწა. ყოველდღიური ბუნებრივი ურთიერთობებისათვის წარმოიშვა ოჯახი, რამდენიმე ოჯახის პირველმა გაერთიანებამ წარმოშვა სოფელი, რომელიც ყოველდღიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, სოფელი წარმოადგენს ოჯახების კოლონიას, რამდენიმე მსგავსმა დასახლებამ შექმნა დასრულებული სახელმწიფო. სახელმწიფოების

ნაწილის მიხანია მხოლოდ არსებობის შენარჩუნება, ნაწილისა კი ბოდნიერი არსებობა. ყოველ ოჯახს სათავეში უფროსი ყავს რომელიც ადგენს კანონებს ოჯახის წევრები კი ერთმანეთს ენათესავენ, ასევე სახელმწიფოც. ის ისევე როგორც ოჯახი ბუნებრივი მუდმივი და მთელი კატეგორიას წარმოადგენს, სახელმწიფოს ნაწილია ადამიანი რომელიც პოლიტიკური არსებაა და სახელმწიფოს გარეშე არ შეუძლია არსებობა. როგორც ადამიანის ხელი პირობითია ადამიანის გარეშე ასევე ქალაქ-სახელმწიფოც. სახელმწიფო ბუნებრივად უფრო პირველადია, ვიდრე ცალკეული ადამიანი. ვისაც არ შეუძლია სახელმწიფოში ყოფნა ის ან მხეცია ან ღმერთი, რადგან ბუნებრივად თითოეულ ადამიანს ახასიათებს მისწრაფება სახელმწიფო ურთიერთობისაკენ.

7)მმართველობის ფორმების დახასიათება (სამართლიანი და უსამართლო ფორმები მათი გამიჯვნის კრიტერიუმები,დემოკრატიის და ოლიგარქიის შედარება არისტოტელეს მიხედვით) (4ქ.)

არისტოტელეს აზრით სახელმწიფო მმართველობა არის მთავარი ძალა სახელმწიფოში. ძალაუფლება კი ან ერთის ხელშია ან უმცირესობის, ან უმრავლესობის. თუ ხელისუფალნი ზრუნავენ საზოგადოების სარგებლობაზე ეს სწორი სახელმწიფოებრივი ფორმა ყოფილა, ხოლო თუ ემსახურება ერთის, უმცირესობის ან უმრავლესობის ინტერესებს მაშინ ეს სახელმწიფო მმართველობის დამახინჯებული ფორმაა. არისტოტელეს აზრით არსებობს სამართლიანი და უსამართლო ფორმები,სამართლიანია მონარქია,არისტოკრატია და პოლიტეა,უსამართლოა ტირანია, აროსტოკრატიას მცირეთა მმართველობას ხოლო პოლიტეას უმრავლესობის მმართველობას, როცა უმრავლესობის ინტერესების სასარგებლოდ ხორციელდება ტირანია არის მონარქია ოღონდ საზოგადოება დესპოტურად იმართება. რთული განსასაზღვრია რას მოიცავს დემოკრატია და რას ოლიგარქია ამასთან დაკავშირებით მრავალი სიმძნელოლიგარქიაში ძალაუფლება ეკუთვნით მდიდრებს, დემოკრატიაში კი ღარიბებს. დემოკრატია მაშინ არსებობს როცა მართავს უმრავლესობა, ხოლო ოლიგარქიის შემთხვევაში მცირერიცხოვანი მდიდრები.მდიდრები მცირერიცხოვანნი არიან, ღარიბები კი მრავალრიცხოვანნი, აქედან გამომდინარე მთავარი განსხვავება არა მმართველთა რაოდენობაშია არამედ სიმდიდრესა და სიღარიბეში. ოლიგარქიას, დემოკრატისა და ბაზილეს ის მთელი საზოგადოებისათვის სასარგებლო მმართველობას უწოდებს, ოლიგარქია ემსახურება მდიდრების ხოლო დემოკრატია ღარიბების ინტერესებს საერთო სარგებლობაზე არცერთი არ ფიქრობს.

8)სახელმწიფოს განმარტება არისტოტელეს პოლიტიკის მიხედვით (3 ქ.)

სახელმწიფო არის გვარებისა და სოფლების კავშირი შექმნილი სრულყოფილი და დამოუკიდებელი ცხოვრების მოსაპოვებლად. ასეთი ცხოვრება უნდა იყო ბედნიერი და მშვენიერი, სახელმწიფოც არსებობს ბედნიერი და მშვენიერი ცხოვრებისთვის და არა ადამიანთა თანაცხოვრებისთვის. ამიტომ ვინს ხელს უწყობენ სახელმწიფოს გაერთიანებას იმსახურებენ სახელმწიფოს სათავეში ყოფნას იმაზე მეტას ვიდრე

მდიდარნი, თავისუფალნი ან ვიდრე პოლიტიკური და ზნეობრივი თვალსაზრისით დაბლა მდგომნი.

9) სახელმწიფოს სამი ნაწილი არისტოტელეს მიხედვით (3 ქ.)

ყოველ სახელმწიფოს აქვს სამი ნაწილი: ძალიან მდიდრები, ძალიან ღარიბები და მათ შუა მდგომნი, საუკეთესო ყოველთვის ზომიერებაა და არც ეს შემთხვევაა გამონაკლისი, პირველნი სჩადიან უზნეობას სითავხედის გამო, მათ არ სურთ სახელმწიფოზე მორჩილება ეს ოჯახიდან მოსდგამთ, იმყოფებიან ფუფუნებაში თავად ხელმძღვანელობენ ყველაფერს. მეორენი გაჭირვების გამო თავხედდებიან. საშუალო ფენას კი არ სურს სხვისი ქონება, არც სხვებს სურთ მათი. კარგია სახელმწიფო მმართველობა, სადაც ჭარბობს საშუალო კლასი, იქ ნაკლები ადგილი აქვს აჯანყებებსა და არეულობებს. ძირითადად საშუალო კლასი უმცირესობას წარმოადგენს, რადგან არ მდიდრები იმარჯვებენ ან ღარიბები.

ყოველ სახელმწიფოს აქვს სამი ნაწილი და თუ ეს ნაწილები წესრიგშია მაშინ სახელმწიფოც წესრიგშია. პიველი ნაწილია ის სადაც წარმოებს თათბირი სახელმწიფოს საერთო ინტერესების შესახებ. მეორე ნაწილი სახელმწიფოს მმართველობას ეხება, ხოლო მესამე - სასამართლო საქმეების წარმოებას. სათათბირო განიხილავს ომის, ზავის, ქონების კონფისკაციისა და სამშობლოდან გაძევების საკითხებს.

10) მონარქია და მისი სახეები არისტოტელეს მიხედვით (4ქ.)

მონარქია არის სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი სწორი ფორმა, მონარქიას გააჩნია ფორმები:

1. მონარქი ყველა საკითხს არ წყვეტს თუმცა როდესაც ტოვებს სახელმწიფო საზღვრებს ხდება სამხედრო ძალების მთავარსარდალი, მაგრამ მას არ აქვს სიკვდილით დასჯის უფლება. ესაა სამეფო ხელისუფლების ერთ-ერთი სახე - სამხედრო სამსახური მთელი ცხოვრების მანძილზე. 2. მეორე სახის მონარქიისას მონარქს ისეთივე უფლებები აქვს, როგორც ტირანს, ზოგი მათგანი კანონითაა დანიშნული, ზოგი კი მემკვიდრეობით. მმართველობა ტირანიულია, მაგრამ მყარია რადგან მემკვიდრეობითია და ემყარება კანონს. მეფეები სახელმწიფოს მართავინ კანონითა და ქვეშევრდომთა ნება სურვილით, ტირანები კი იძულებით, ამიტომ ტირანი თავს იცავს მოქალაქეებისგან, მეფეებს კი მოქალაქენი იცავენ. 3. არჩეული ტირანი - "ესიმნეტაა", ამ შემთხვევაში მონარქი ან მთელი ცხოვრების განმავლობაში რჩება სათავეში ან კი მხოლოდ კონკრეტული საქმის შესასრულებლად. დესპოტური ხასიათის გამო ტირანებად ითვლებიან, მაგრამ მეფეებად ითვლებიან, რადგან არჩეულნი იყვნენ ხალხის ნებით. 4. ნებაყოფლობითი და მემკვიდრეობით ხასიათის მონარქიაა, ამიტომ ისინი კანონიერიც იყვნენ. ხელოვნებით ან ომით აერთიანებდნენ სახელმწიფოს, სწორედ ამიტომ ხალხის სასურველი მეფეები იყვნენ და მათ მიიღეს მემკვიდრეობით მეფობის გადაცემის უფლება. მეფეები მართავდნენ სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმეებს, შემდგომში გარკვეულ უფლებებზე თავად თქვეს უარი ზოგი კი ხალხმა ჩამოართვა.

11) თანამდებობის პირთათვის და ხელობათათვის თომას მორის უტოპიის მიხედვით (4 ქ.)

ყოველ 30 ოჯახი თავის მხრივ ირჩევს თანამდებობის პირს, ფილარქოსისს, ყოველ 10 ფილარქოსს მეთაურობს კაცი, რომელსაც პროტოფილარქოსი ეწოდება. ყველა სწავლობს მიწადმოქმედებას ბავშვობიდან, ასევე თითოეული ირჩევს ერთ რომელიმე საკუთარ ხელობას (მატყლის დართვა, ხის ოსტატთა ხელობა). ხშირად შვილები მამის ხელობას მისდევენ მაგრამ თუ სხვა საქმისადმი აქვთ მისწრაფება მაშინ იმ ოჯახს მიაშვილებენ სადაც ამ საქმისგრძელ მოსასხამს იფარებენ. ოსტატები ცხოვრობენ. ტანსაცმელის შეკერილობა უცვლელი და მუდმივია, ადვილად მოსახმარი და ტემპერატურას მორგებულია. ტანსაცმელს თითოეული ოჯახი თვითონ იმზადებს და 2 წელი მაინც ყოფნით, სამუშაოზე ზერელედ იფარავენ ტანს ბევრით ქუცაში გამოსულები კი გარეთ გამოსვლისას მათ მოსასხამები აქვთ რომლითაც ტანს იფარავენ. ისინი ქსოვილში სითეთრესა და სისუფთავეს აფასებენ. სიფოგრანტუსთა საქმიანობა სხვებზე დაკვირვება არის, რომ არავინ არ იჯდეს უსაქმოდ.

უტოპიელებს არ უწევთ დილიდან საღამომდე მუშაობასამუშაოდ 6 საათი აქვთ გამოყოფილი ხოლო ძილისთვის კი 8 საათი აქვთ. სამუშაოდ გამოყოფილი 6 საათი საკმარისია მათთვის, რადგან უქმად არავინ არ არის და ყველა სასარგებლო ხელობას მისდევს. თავისუფალი დრო შეუძლიად აზრიანად გამოიყენონ სხვა რამე საქმისათვის. ყოველ დილით ესწრებიან საჯარო კითხვა, მაგრამ მათ შეუძლიათ ეს დროც თავიანთ საქმიანობას მოახმარონ. მეცნიერები საქმისგან გატავისუფლებულნი არიან, ხშირად ახალგაზრდები ბეჯითი მეცადინეობით თავისუფლდებიან სამუშაოსგან. უტოპიელები შენობებს ისე აგებენ რომ, მალე შეკეთება არ დაჭირდეს და თუ ეს მაინც მოხდა მალევე აღადგენენ. მათ ყველაფერი უხვად აქვთ და ამისთვის მცირე შრომაც ჰყოფნით, რადგან ისინი სასარგებლო შრომით არიან დაკავებულნი. ხანდახან ქალაქგარეთ გადიან გზების შესაკეთებლად. მაგრამ თუ არ არის ამგვარი სამუშაო ხელისუფლება სამუშაო საათების ნაკლებ რაოდენებას აცხადებს, მათ არ სურს საჭიროზე მეტ ხანს ამუშაოს ხალხი, სწორედ ამაშია ბედნიერება, რადგან ყველას რჩება ფიზიკური მონობის შემდეგ დრო სულიერი სიამოვნებისა და განტვირთვისთვის.

12) სისასტიკის გულმოდგინებისა და კიდევ იმისთვის თუ რა ჯობია უყვარდეთ თუ ეშინოდეთ შენი-მაკიაველი (4 ქ.)

მთავარი უნდა ცდილობდეს გულმოდგინებას კაცის სახელი მოიხვეჭოს და არა სისასტიკის, მაგრამ ის არაფრად უნდა აგდებდენ გმობას სისასტიკის გამო, რადგან ხშირად სწორედ სისასტიკით ახერხებს განხეთქილებისა და განდგომის საშუალება მოუსპოს თავის ქვეშევრდომთ. ის ვისთვისაც დასჯის რამდენიმე მაგალითი საკმარისია გაცილებით უფრო გულმოდგინება იქნება, მაგრამ თავისი გულმოდგინებით ხელს უწყობს ქვეყნის არეულობას. მთავარი მალემრწმენელი არ უნდა იყოს, ის დინჯად უნდა არჩევდეს საქმეს, ქვეშევრდომთა ზედმეტმა დნობამ სიფრთხილზე არ უნდა დაავიწყოს, მაგრამ უნდობლობის შედეგად არც აუტანელი არ უნდა გახდეს ქვეშევრდომთათვის. სჯობს შიშს

უნერგავდე ხალხს, რადგან ისინი უმადურები არიან და ხიფათის მოახლოებისთანავე ზურგს შეგაქცევენ, სიყვარული გასაჭირში იარღად არ გამოადგება მთავარს, ის მხოლოდ მოვალეობის გრძნობაძეა დამყარებული და კაცთა სულმოკლეობის გამო ქარჭყლება, შიში კი ბადებს ისევ სასჯელის შიშს, რაც გამუდმებით ემუქრება ხალხს. მთავარი შიშს ისე უნდა ნერგავდეს, რომ თუ სიყვარულს ვერ მოიხვეჭს სიძულვილი მაინც აიცილოს თავიდან. ამისათვის მან არ უნდა ხელყოს ქვეშევრდომთა სიცოცხლე და კერძო საკუთრება. როდესაც მთავარი წინ მიუძღვის მრავალრიცხოვან ლაშქარს სისასტიკის გარეშე მისი ურიცხვი სიქველე ვერ გამოიღებს ვერანაირ ნაყოფს (ჰანიბალის მაგალითი). ლმობიერი მოპყრობით კი ლაშქარს შესაძლებლობა ეძლევა აჯანყებისა. სიყვარულს ადამიანების ნება-სურვილი განაპირობებს, შიშს კი მთავარისა, ბრძენი კაცი კი უნდა ეყრდნობოდეს იმას რაც მასზეა დამოკიდებული და არა იმას რაც სხვის ნებაზე ჰკიდია, მაგრამ იმას კი უნდა ეცადოს, რომ თავიდან აიცილოს სიძულვილი.

13) როგორ უნდა ესწრაფოდნენ მთავარნი იმას რომ სანდონი იყვნენ-მაკიაველი (4ქ.)

ქების ღრსნი არიან მთავრები, როლებიც ქვეშევრდომთა ნდობას და პატიოსნებაწს ინარჩუნებენ. მაგრამ დიდი საქმეების აღმსრულებლად ის მთავრები გვევლინებიან, რომლებიც ყურადღებას არ აქცევენ ქვეშევრდომთა ნდობას და სჯობდნიდნენ იმ მთავრებს როომლებიც მხოლოდ წესიერებას ემყარებიან. არსებობს ორი სახის ბრძოლა: კანონებითა და ძალით. პირველი ადამიანებისთვისაა მეორე კი- მხეცებისთვის, მთავარისთვის თანაბარი წარმატებით უნდა იბრძოდეს როგორც კაცი და როგორც მხეცი, ის უნდა ითავსებდეს ორივე ბუნებას და აცნობიერებდეს რომ ერთი მეორეს გარშე უდღეურია, მელა უნდა იყო რომ შენიშნო გველი და ლომი, რომ დაიფრინო მგლები. იმას ვინც მხოლოდ ლომობას იჩემებს ბევრი არაფერი ესმის. მთავარი თავისი აღთქმის ერთგული ვერ იქნება თუ მისთვის საზიანო აღმოჩნდება ეს. ადამიანები ხშირად არღვევენ პირობებს და არც მთავარია ვალდებული უერთგულოს აღთქმას, მთავარს ყოველთვის გამოძებნის კანონიერ მიზეზს გაამართლოს თავისი ორპირობა, სწორედ ამიტომ ის, ვინც უკეთ ახერხებდა გაეთამაშბინა მელას როლი უფრო ადვილად აღწევდა სასურველ მიზანს. ალექსანდრე VI მუდმივად ატყუებდა ხალხს მაგრამ ყოველთვის აღწევდა იმას რომ სიმართლედ გაესაღებინა ტყუილი, რადგან კარგად იცნობდა კაცთა ბუნებას. მთავრისათვის სულაც არ არის აუცილებელი, ყველა ზემოთჩამოთვლილ თვისებას ფლობდეს, მაგრამ აუცილებლად უნდა აჩვენებდეს თავს როგორც ამ თვისებათა მფლობელი. თუ ამ თვისებებს ფლობ ყოველი ფეხის ნაბიჯზე ავლენ ამ თვისებებს, ხოლო თუ თავის მოსაჩვენებლად იყენებ მათ, სასარგებლოცაა მისთვის, რადგან შეუძლია საპირისპიროდ მათი გარდაქმნა. მთავარი ხშირად იძულებულია სახლემწიფოს შესანარჩუნებლად ადამიანობის და სარწმუნოების წინააგმდეგ იმოქმედოს, ამიტომ ადვილად უნდა ესადაგებოდეს ბედის ტრიალით ნაკარნახევ მიმართულებას. აუცილებელია, რომ სიყვარულის, პატიოსნების, ადამიანობისა და მორწმუნეობის ხატებად ჩანდეს, და ასეთად გვაჩვენებდეს თავს, რადგან ადამინები ხედვას უფრო მეტად უწევენ ანგარიშს ვიდრე გრძნობებს. და თუ ის გამარჯვებას მოიპოვებს ყოველთვის

პატიოსნად და ქება დიდების ღირსად შერაცხავენ, რადგან ბრბოს მხოლოს საქმის გარეგნული მხარე და შედეგი ხიბლავს, ბრბო კი ამ ქვეყნად ყველაფერია, რადგან ცალკეული პიროვნებები მხოლოდ მაშინ არიან მნიშვნელოვანი, როცა უმრავლესობამ არ იცის რაზე შეაჩეროს არჩევანი.

14) როგორია ბედისწერის გავლენა კაცთა ცხოვრებაზე და როგორ შეიძლება წინ აღუდგე მათ - მაკიაველის „მათვარი“ (4 ქ.)

ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ამქვეყნიური მოვლენების მსვლელობას ბედისწერა და ღმერთი წარმართავენ, და რომ კაცთა კეთილგონიერებას არამცთუ არ შეუძლია რაიმეს შეცვლა, არამედ სრულიად უმწეონი არიან განგების წინაშე. მაკიაველის აზრით ბედისწერა განაპირობებს ჩვენი ცხოვრების ნახევარს ხოლო მეორე ნახევარს, მთლიანად თუ არა ოდნავ ნალებს მაინც, ჩვენ თვითონ ვქმნით. ბედისწერა ჰგავს ბობოქარ მდინარეს, რომელსაც ყველა გაურბის, რადგან გამძვინვარებული გადმოლახავს ნაპირებს, თხრის ხეებს და ანგრევს შენობებს, თუმცა სიმშვიდის ჟამს შესაძლოა ჯებირი აღმართო მის შესაჩერებლად, ისე რომ წყალდიდობისას მდინარე ან თავის კალაპოტში დაეტეოს ანდა მისი მძვინვარება ძველებურად მძაფრი აღარ აღმოჩნდეს. ბედისწერა თავის ძალმომრეობას ავლენს იქ, სადაც არავის უზრუნვია იმაზე, რომ საპირისპირო ძალა დაეხვედრებინა მისთვის. ამის კარგი მაგალითია იტალია, რომელიც უჯებიროა და გერმანიასავით დაცული რომ ყოფილიყო წყალდიდობა საბედისწერო ცვლილებებს ვერ გამოიწვევდა. მათვარი რომელიც მხოლოდ ბედისწერაზეა მინდობილი ილუპება, როგორც კი ბედი პირს იბრუნებს მისგან. ბედნიერია ის, ვისი მოქმედებაც დროის თავისებურებებს ეთანხმება. ერთი და იგივე მიზნისაკენ ადამიანები სხვადასხვაგვარად მიდიან, კერძოდ ერთნი სიფრთხილით, მეორენი კი შლეგურ. ფრთხილ კაცს, როცა ეს საჭირო ხდება არ შეუძლია ჯიქურ მოქმედებაზე გადასვლა და ამიტომ ილუპება, მაგრამ მისი ბუნება დროსთან ერთად რომ იცვლებოდეს მისი ბედიც უცვლელი დარჩებოდა. თუ დროება გარემოებებთან ერთად იცვლება მისი ბედნიერება შეუძლებელია. ბედის ცვალებადობას, ადამიანები რომლებიც ჯიუტად მისდევენ მოქმედების ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ გზას უმართლებთ მანამ, სანამ მათი მოქმედება და ბედისწერა ერთმანეთს შეესაბამებინან. ჯობს თამამი იყო, ვიდრე ფრთხილი და წინდახედული, რადგან ბედისწერა ქალია და მის მოსათინიერებლად წიხლებსაც არ უნდა იშურებდე. ბედისწერაც ქალის მსგავსად სიჭაბუეს ამჯობინებს, რომელიც თამამია და მასზე მბრძანებლობს.

15) კაცთა მოდგმის ბუნებით მდგომარეობაზე, მის ბედნიერებასა და უბედურებასთან კავშირში. ჰობზის „ლევიათანი“ (4ქ)

ადამიანები ბუნებამ თანასწორები შექმნა, რადგან ყველაზე სუსტსაც შეუძლია ყველაზე ძიერი რაიმე ხერხით მოკლას. ინდივიდები იმდენად არ განსხვავდებიან, რომ რომელიმემ დაიჩემოს ის ერთ სიკეთე, რომელიც სხვას არ ეკუთვნის. გონებრივი შესაძლებლობები კი

ცოტა ადამიანს აქვს ისიც ერთ ონკრეტულ სფეროში, ეს ის გამოცდილებაა, რასაც ადამიანები თანაბარ დროში თანაბრად მოიპოვებენ თ ერთსა და იმავე საქმიანობას მისდევენ. კაცის ბუნება ისეთია, რომ შეუძლია სხვა მასზე გონებამახვილად, ნასწავლას ან მჭერმეტყველას მიიჩნიოს ნაგრან უნას ვერ დაიჯერებს, რომ ბერვი სხვა მასსავით გონიერია, რადგან საკუთარ ჭკუას უშუალოს აღვიქვამთ, სხვებისას კი - შორიდან. ამ ნიშნითაც ადამიანები უფრო თანასწორნი არიან ვიდრე უთანასწორონი. საკმარისია ორმა ადამიანმა ისეთი რამ მოინდომოს რომ ერთად ვერ ფლობენ, ისინი ერთმანეთს სამტროდ გადაემტერებიან. ერთი საბღოლველად ემზადება მეორე კი შიშში და თავდასხმის მოლოდინშია, ასე მყარდება მუდმივი ურთიერთშიში. ასეთი ქცევა საკუთარი თავის დაცვას არ ცდება, მაგრამ ყოველთვის გამოჩნდება ვილაც, ვინც სხვებზე ბატონობას მოინრომებს, და ისინი, ვინც მხოლოს თავდაცვას სჯერდებიან დიდხანს ვერ გასტანენ. ყველა მოელის ადამიანებისგან დაფასებას, ვისაც არ აფასებენ აიძულებს მათ პატივისცემით მოეპყრან, ზოგს დასჯის ზოგს ი მაგალით აჩვენებს. ადამიანის ბუნებაში კონფლიქტის სამ წყაროს ვხვდებით: შეჯიბრის, შიში, პატივმოყვარეობა. ადამიანები ომად წოდებულ მდგომარეობაში არიან, ეს ომი ყველა კაცისაა ყველა კაცის წინააღმდეგ, ომის არსი კი არის გამოხატული მზაობა ბრძოლისათვის. რადგან ყველა ადამიანი სხვისი მტერია, არ არსებობს უსაფრთხოების გარანტია, ასეთ პირობებში კი არავინ შრომობს, რადგან მისი ნაყოფი გაურვეველია. შესაძლოა ვინმეს გაუვირდეს, რომ ბუნება ასე აცალკევებს ადამიანებს, მაგრამ თავად ისიც ი მსწავსი წარმოდგენისაა თანამემამულეზე, რადგან ძილის წინ სხვასავით კარს კეტავს. ადამიანებს აქვთ ბევრნაირი ვნება მაგრამ ის ცოდვად ვერ ჩაითვლება, რადგან არ არსებობს მისი ამკრძალავი კანონი. კანონები არ შექმნილა და ვერც დაიწერება თუ ადამიანები არ შეთანხმდებიან ვის ეუთვნის მათი დაწერა. ომისას სამართლიანობისა და უსამართლობის ცნებებს ადგილი არ აქვთ, რადგან სადაც არ არსებობს საერთო ხელისუფლება არ არის კანონიც. ომში ორი ყველაზე დიდი სიქველე ძალა და ეშმაკობაა. ამ მდგომარეობაში საკუთრების გარჩევაც შეუძლებელია, ყოველი ადამიანის იქნება ის, რაც მან მოიპოვა და სადამდეც მის შენარჩუნებას შეძლებს. გონება სთავაზობს ადამიანს მშვიდობის გამოსადეგ პირობებს, რომლებსაც ჰობზი ბუნებით კანონებს იწოდებს.

16)პირველი და მეორე ბუნებითი კანონებისა და ხელშეკრულების შესახებ ზობზის “ლევიათანი“ (4ქ)

ბუნებითი უფლება არის ადამიანის თავისუფლება გამოიყენოს საკუთარი ძალა ისე, როგორც სურს საკუთარი სიცოცხლის შესანარჩუნებლად. თავისუფლება გულისხმობს გარე შეზღუდვების არ არსებობას. ბუნებითი კანონი არის მოთხოვნა ან ზოგადი წესი, რომელიც ადამიანს ურძალავს გააკეთოს ისეთი რამ რაც მის სიცოცხლეს ხელყოფს, ან ვერ დაიცავს მას. უფლება რამის გაეთების თავისუფლებაა, კანონი კი შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესს ადგენს. რადგან აცის მდგომარეობა ომია, მას სიცოცხლის შესანარჩუნებლად ყველაფრის უფლება აქვს. ადამიანი ვერ იქნება დარწმუნებული რომ იცოცხლებს იმდენ ხან, რამდენიც ბუნებამ დაუდგინა. აქედან გამომდინარეობს მოთხოვნა, პირველი ბუნებითი კანონი(მშვიდობის ძიება), რომ ყოველი კაცი უნდა ესწრაფოდეს მშვიდობას და თუ ეს არ შეუძლია ომის ყველა გზის გამოიყენების

შესაძლებლობა აქვს, რადგან ნებისმიერი უფლებით შეგვიზღია თავის დაცვა. მეორე კანონით კი თუ სხვებსაც აღმოაჩნდათ იგივე სურვილი ადამიანი მზად უნდა იყოს ხელი აიღოს საყოველთაო უფლებაზე და დაკმაყოფილდეს იმდენით რომ სხვა არ შეზღუდოს. უფლების დათმობისას ადამიანი უარს ამბობს, თავისუფლებებზე, ხელი შეუშალოს სხვა, იგივე უფლება თავის სასიკეთოდ გამოიყენოს. სხვა ადამიანს კი არ ანიჭებს უფლებას არამედ წინ არ აღუდგება მას ამ უფლების გამოყენებისას. უფლებების დათმობა ხდება ხელის აღებით ან მისი სხვისთვის გადაცემით, ხელის აღებისას არ აინტერესებს ვინ ისარგებლებს ამ უფლებით, გადაცემისას კი კონკრეტულ პირს გადასცემს. ადამიანი უფლებაზე ხელის აღებისას ან მისი გადაცემისას თავად იტოვებს ტოლდას უფლებას, რადგან ყველა ადამიანის ნებაყოფლობითი ქმედების მიზანს საკუთარი თავისათვის რაიმე სიკეთის მოტანა წარმოადგენს. უფლებების ურთიერთგადაცემა არის ის, რასაც ხელშეკრულებად იწოდება. განსხვავდება საგნის მიმართ უფლების გადაცემა და თავად ამ საგნის გადაცემა. ნივთის მიწოდება შეიძლება მოგვიანებითაც მოხდეს, თუ მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოგვიანებით შეასრულებენ მოვალეობებს, მოქმედების აღსრულება პორობის შესრულებას ანუ ნდობის გამართლებას, ხოლო შეუსრულებლობა პირის გატეხვაა.

17) ბუნებითი კანონები მონტესკიეს კანონთა გონის მიხედვით (4 ქ.)

ბუნების კანონები წინ უძღვის ყველა კანონს, მათ შეასცნობათ საჭიროა ადამიანების საზოგადოებამდელ მდგომარეობაში განხილვა, ასეთ მდგომარეობაში ემორჩილება ადამიანი ბუნების კანონებს. ეს კანონები ადამიანს უნერგავს შემოქმედის იდეას. ადამიანებს შემეცნების უნარი უფრო გააჩნიათ ვიდრე შემეცნება. ასეთი ადამიანი თავისი არსებობის დაცვაზე უფრო ფიზრობს ვიდრე მის წარმომავლობაზე. ასეთი ადამიანები უძღურნი არიან, ისევე როგორც ტყეში მოსახლე ველურები. ადამიანი თავს სხვაზე უძღურად თვლის, რადგან ძნელია ასეთ მდგომარეობაში თავი სხვის თანასწორად ჩათვალოს.

1. მშვიდობა მათი პირველი ბუნებითი კანონია.
2. უძღურების გრძნობას ემატება მოთხოვნის გრძნობა, რომელიც უბიძგებს მას საკვების მოძებნისკენ, რაც წარმოადგენს მეორე ბუნებით კანონს.
3. შიში აიძულებს ადამიანებს გაიქცნენ ერთმანეთს, თუმცა ორმხრივი შიშის გამო ისინი მალე ახლოვდებიან, ასევე ამოდრავებთ სიამოვნებაც რასაც საპირისპირო სქესის მიმართ განიცდიან, ბუნებრივი ვერდრება, რომლითაც ეს არსებები ერთმიმეორეს მიმართავენ მესამე ბუნებითი კანონია.
4. გარდა გრძნობებისა, რომლებიც ადამიანებს თავიდანვე აქვთ, ისინი იძენენ შემეცნების უნარსაც, რაც მათში გაერთიანების ახალი მოტივაციას აჩენს. მეოთხე ბუნებრივი კანონია საზოგადოებად ცხოვრების სურვილი.

18) სამი სხვადასხვა მმართველობის ბუნება მონტესკიეს მიხედვით (3 ქ.)

არსებობს სამი სახის მმართველობა: რესპუბლიკური, მონარქიული და დესპოტური. რესპუბლიკური მმართველობა ისეთი მმართველობაა, როცა უმაღლესი ძალაუფლება მთელი ხალხის ან მხოლოს მისი ერთი ნაწილის ხელშია. მონარქიული მმართველობის

დროს ერთი ადამიანი მართავს მყარი და დადგენილი კანონებით, ხოლო დესპოტური მმართველობისას ერთი ადამიანი ყოველგვარი წესისა და კანონის გარეშე განაგებს ყველაფერს თავისი სურვილებისა და კაპრიზების მიხედვით.

19)რესპუბლიკური მმართველობა და დემოკრატიისთვის დამახასიათებელი კანონები მონტესკიეს მიხედვით (3ქ)

როცა რესპუბლიკაში უმაღლესი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის მაშინ საქმე გვაქვს დემოკრატიასთან. თუ ძალაუფლება ხალხის ნაწილს ეკუთვნის მაშინ ასეთ მმართველობას არისტოკრატიული ეწოდება. დემოკრატიისას ხალხი ნაწილობრივ მონარქია, ნაწილობრვ- ქვეშევრდომი. იგი მონარქია საარჩევნო ხმების თვალსაზრისით, რადგან გამოხატავენ საკუთარ ნებას. კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ საარჩევნო ნებას ძირითადი კანონებია. რესპუბლიკური მმართველობისას აუცილებელია დადგინდეს თუ როგორ, ვის მიერ, ვისთვის და რაზე უნდა იქნეს მიცემული ხმა, მონარქიაში კი აუცილებელია იცოდეს, თუ რომელია მონარქი და როგორი წესით უნდა მომართო მას.

20)არისტოკრატიული წყობისთვის დამახასიათებელი კანონები მონტესკიეს მიხედვით (3ქ.)

არისტოკრატიული მმართველობისას ძალაუფლება გარკვეული რაოდენობის ადამიანთა ხელშია, ისინი ადგენენ კანონებს და აიძულებენ ხალხს მათ მორჩილებას. ხალხი მათ მიმართებაში იგივეა, რაც ქვეშევრდომნი მონარქის მიმართ. აქ არჩევნები არ უნდა ხდებოდეს წილისყრით ეს მხოლოდ უარყოფით შედეგს მოიტანდა. აქ შურს იწვევს წარჩინებულობა და არა მმართველობითი ფუნქცია. როდესაც წარჩინებულთა სიჭარბისას საჭიროა სენატის არსებობა, იმ საქმეების მოსაგვარებლად, რომელთა გადაჭრაც წარჩინებულთა კორპუსს არ შეუძლია. არისტოკრატიული მმართველობისას კარგი იქნებოდა ხალხი რამენაირად, რომ გამოეყვნათ მისი ამგვარი არარაობის მდგომარეობიდან, მაგალითად გენუაში ხალხს ეძლევა გარკვეული გავლენა მთავრობაზე, რაც მთელ მის ეთლდღეობას განაპირობებს. სენატორებს არ უნდა ჰქონდეთ უფლება თავისი ნებით შეავსონ მათი ადგილები, ვინც სენატს აკლია, ეს გამოიწვევდა უფლებების ბოროტად გამოყენებას. რომში სენატს უფლება არ ჰქონდა აერჩია თავისი წევრები, ახალ სენატორებს ცენზორები ასახელებდნენ.

21)დესპოტური სახელმწიფოს შესაბამისი კანონები მონტესკიეს მიხედვით (3ქ.)

დესპოტური ძალაუფლების ბუნებიდან გამომდინარე, ერთი ადამიანი რომელიც მას უნდა ახორციელებდეს ძალაუფლებას განახორციელებინებს ერთ სხვას, რომელსაც ხუთივე გრძლობა ეუბნება, რომ იგი ყველაფერია, ხოლო დანარჩენი კი არაფერი, ზარმაცნი, უვიცნი და ავხორცნი ხდებიან და თავს ანებებენ საქმეს. ბევრს თუ მიახლო საქმე იწვევს კამატს მათ შრის პირველი მონის დასაკავებლად, შესაბამისად ხელმწიფე იძულებული იქნება დაუბრუნდეს თავის მმართველობას. ამიტომ უფრო ადვილია საქმე

ერთ ვაზირს მიანდოს, რომელსაც მისი თანაბარი ძალაუფლება ექნება. ვეზირის დაყენება ასეთი სახელმწიფოს ძირითადი კანონია.

22)რა არის თავისუფლება მონტესკიეს მხედვით (3ქ.)

პოლიტიური თავისუფლება არ გულისხმობს რაც სურს ყველფრის კეთების უფლებას. სახელმწიფოში სადაც არის კანონები თავისუფლება შეიძლება მდგომარეობდეს მხოლოდ იმაში, რომ გვექონდეს იმის კეთების უფლება რაც კანონით დასაშვებია და თუ მოქალაქეს შეუძლია აკეთოს ის რასაც კანონები კრძალავენ,მაშინ მას აღარ ექნება თავისუფლება,რადგან იგივე შესაძლებლობა სხვებსაც ექნებათ. თავისუფლება იმის კეთების უფლებაა, რაც კანონით დასაშვებია. დემორატია და არისტოკრატია თავისი არსით არ წარმოადგენენ თავისუფალ სახელმწიფოებს, პოლიტიური თავისუფლება მხოლოდ ზომიერ მმართველობაშია. ეს კი მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ადგილი არ აქვს ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას. მაგრამ ძალაუფლების მქონე პირები მიდრეკილნი არიან უფლებების ბოროტად გამოყენებისკენ. იმისათვის, რომ ძალაუფლება ბოროტად არ იქნეს გამოყენებული საჭიროა ძალაუფლებას ძალაუფლემ აოკებდეს.

23)ინგლისის სახელმწიფო წყობა(ხელისუფლების დანაწილების თეორია)მონტესკიეს მიხედვით (4 ქ.)

ყოველ სახელმწიფოში სამი სახის ხელისუფლებაა : საკანონმდებლო, საერთაშორისო სამართალზე დამოკიდებული საქმეთა აღმასრულებელი და სამოქალაქო სამართალზე დამოკიდებულ საქმეთა ხელისუფლება. პირველის ძალით ხელმწიფე ან მაგისტრატის ქმნის დროებით ან სამუდამო კანონებს და ასწორებს ან აუქმებს არსებულ კანონებს. მეორის ძალით აცხადებს მშვიდობას ან ომს, უზრუნველყოფს უსაფრთხოებას,სახელმწიფოს აცილებს შემოსევებს. მესამის ძალით კი სჯის დანაშაულებს. მოქალაქისთვის პოლიტიკური თავისუფლება ის სულიერი სიმშვიდეა, რომელიც თითოეულის უსაფრთხოების შეგნებიდან გამომდინარეობს; იმისათვის რომ გვექონდეს თავისუფლება, საჭიროა ისეთი მმართველობა, როცა ერთ მოქალაქეს მეორის შიში არ ექნება. როცა, ერთნი განაგებენ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას , თავისუფლებას ადგილი არ აქვს,რადგანაც საფრთხეა რომ მონარქმა ან სენატორმა ტირანული კანონები არ შექმნას.ასევე თავისუფლებისთვის აუცილებელია სასამართლო ხელისუფლება განცალკევებული იყოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისგან, რადგან შეერთებისას მოსამართლე თვითონ იქნება კანონმდებელი და შესაძლებელია მჩაგვრელი გახდეს. ასევე ყველაფერი წახდება თუ სამივე ხელისუფლებას ერთი ადამიანი, ან მთავარი,ხალხთა კორპუსი განახორციელებს. ხელმწიფეები, რომლებიც დესპოტიზმისაკენ მიილტვიან ყოველთვის საქმეს იწყებენ ყველა ძალაუფლების თავიანთ პიროვნებაში გაერთიანებით. მონტესკიეს აზრით , რომ

სასამართლო ძალაუფლება უნდა ხორციელდებოდეს ხალხის წრიდან არჩეული პირების მიერ, წლის გარკვეულ დროს და კანონით დადგენილი წესით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ხელისუფლება დაკავშირებული არ იქნება არც გარვეულ წოდებასთან და არც გარკვეულ პროფესიასთან. ასევე მნიშვნელოვანია, რომ დამნაშავე ბრალდებულებას თავად ირჩევდეს მოსამართლეს. დანარჩენი ორი ხელისუფლება კი, შეგვიძლია მივანდოთ მაგისტრატებს ან მუდმივ კორპუსებს, ვინაიდან ისინი არ ეხებიან კერძო პირს. ერთი მათგანი სახელმწიფოს საერთო ნების გამოხატულებაა, მეორე კი ამ უკანასკნელის აღსრულება. მოქალაქეებმა ზუსტად უნდა იცოდნენ თავიანთი უფლება-მოვალეობები და აუცილებელია, რომ მოსამართლე და დამნაშავე ერთი სოციალური მდგომარეობის, თანასწორნი იყვნენ, რათა დამნაშავეს განცდა არ გაუჩნდეს, რომ ჩაგრავენ. თავისუფალ სახელმწიფოში, თითოეულ ადამიანი თავისუფალი სულის მქონდე ითვლება, ისინი თავად უნდა განაგებდნენ საკუთარ თავს, კანონმდებელი ხელისუფლებაც კი მათ უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა ეს დიდ არეულობას გამოიწვევდა, შესაბამისად მათ სჭირდებათ წარმომადგენელი, ვისი მეშვეობითაც გააკეთებენ იმას რაც სურთ. კორპუსის წევრებიც დიდი ქალაქების მცხოვრებლებმა თავად უნდა აირჩონ. წარმომადგენლებს შესწევთ უნარი სააქმეებზე მსჯელობისა. წარმომადგენლები არ ღებულობენ ამომრჩევლებისგან მითითებებს თითოეულ საქმეზე, მაგრამ მათ ანგარიშის ჩაბარების ვალდებულება აქვთ. ხალხის მონაწილეობა მმართველობაში უნდა ისაზღვროდეს მხოლოდ წარმომადგენლის არჩევით. კანონმდებელი ხელისუფლება იქნება, როგორც კეთილშობილთა კორპუსზე ისე ხალხის წამომადგენლებზე მინდობილი. კეთილშობილთა კორპუსი უნდა იყოს მემკვირდეობითი. კანონმდებელი ორპუსი ხშირად უნდა იცვლებოდეს, რადგან უცვლელობის შემთხვევაში ხალხი დაინდახავ სმის გარყვნილებას და კანონებისაგან არაფერი კარგის იმედი აღარ ექნება, რაც მის რისხვას და გულგრილობას გამოიწვევს. კანონმდებელ ხელისუფლებას არ უნდა ჰქონდეს აღმასრულებელი ხელისუფლების შეჩრების უფლება, სამაგიეროდ მას უფლება და უნარიც უნდა ჰქონდეს შეამოწოს თუ როგორ ხორციელდება მის მიერ შექმნილი კანონები. საერთო სასამართლოსა და კანონმდებელი ნაწილის შეერთების სამი გამონაკლისი არსებობს. 1. საჭიროა, რომ კეთილშობილთა სასამართლებდეს არა ერის ჩვეულებრივი სასამართლო არამედ კანონმდებელი კორპუსის ის ნაწილი, რომელიც შედგება კეთილშობილთაგან. 2. სასამართლოს უმაღლესმა ავტორიტეტებმა უნდა შეარბილოს კანონი თვით კანონისვე სასარგებლოდ, გამოიტანს რა ნალებად მძიმე გადაწყვეტილებას ვიდრე კანონი ითვალისწინებს. 3 საჭიროა, რომ ხალხის კანონმდებელი ნაწილი ბრალდებულს აყენებდეს წარჩინებულთა ნაწილის წინაშე, რომელსაც არა აქვს არც იგივე ინტერესები, რაც პირველს, და, არც იგივე ვნებათაღელვა. აღმასრულებელი ხელისუფლება მონაწილეობას უნდა ღებულობდეს საკანონმდებლო საქმიანობაში მაგრამ თუ კანონმდებელი მონაწილეობას მიიღებს აღსრულებაში, მაშინ აღმასრულებელი ხელისუფლება გაუქმებული აღმოჩნდება. მონარქის მონაწილეობა კი უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ არძალვის უფლებაში. ეს სამი ხელისუფლება სიმშვიდეს და სიჭყნარეს უნდა ქმნიდეს, ასევე ისინი შეთანხმებულად უნდა იყვნენ. აღმასრულებელი ხელისუფლება ერთი წლის ვადით უნდა განისაზღვრებოდეს. არმია, საგნის ბუნებიდან გამომდინარე, რაკი ერთხელ იქმნება არ უნდა იყო დამოიდებული კანონმდებელ კორპუსზე, არამედ აღმასრულებელზე. თუ არმია მხოლოდ კანონმდებელ ორპუსზე

იქნება დამოიდებული მმართველოდა სამხედრო იქნება. ან არმია განადგურებს მთვარობას, ანეს უკანასნელი დაასუსტებს მას. რადგან ყველაფერს აქვს დასასრული ეს სახელმწიფოც განადგურდება, კანონმდებელი ორგანო უფრო გაიხრწნება ვიდრე აღმასრულებელი.

ქეთი ბენაშვილი, ეთო რუხაძე, მარია დუმბაძე, ნატალი ქემბაძე, თინათინ ოდილავაძე.